პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 1 აპრილი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 73 (1228)

დღიური

— პოლონელ პოლიციელებმა [illegible] მოჰკლეს პოლიტიკური პატიმრები—ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი.

— ჩჟან-ცზიუ-მინი სასტიკად დამარცხდა კანტონის ჯარების მიერ.

— ლონდონში, 10.000 უმუშევარმა გამართა გრანდიოზული დემონსტრაცია.

— ლეიპციგის ბაზრობაზე საბჭოთა კავშირის პავილიონი, როგორც „ტრიბუნა" აღნიშნავს საუკეთესოდ არის მოწყობილი.

პრეზიდენტის არჩევნები გერმანიაში

ეს ერთი ხანია გერმანია პრეზიდენტის არჩევნების ციებ-ცხელებაშია გახვეული. გუშინ ჩვენ უკვე გვქონდა გამოქვეყნებული პირველი არჩევნების შედეგები. ვამბობთ, პირველი არჩევნების, რადგან გერმანიის კონსტიტუციის ძალით, თუ პირველ არჩევნებში არც ერთმა კანდიდატმა არ მიიღო ხმების აბსოლიუტური უმრავლესობა, ე. ი. უფრო მეტი ხმა, ვინემ ყველა დანარჩენმა კანდიდატებმა ერთად, მაშინ ხელმეორედ ინიშნება არჩევნები, როცა საკმარისია პრეზიდენტად არჩევისთვის მხოლოდ შედარებითი უმრავლესობა, ე. ი. საკმარისია ერთმა რომელიმე კანდიდატმა მიიღოს ხმების უფრო მეტი რაოდენობა, ვინემ თვითეულმა სხვა კანდიდატმა.

როგორც არჩევნების შედეგები გვიჩვენებს, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო აბსოლიუტური უმრავლესობა, ასე რომ უნდა იქნას დანიშნული პრეზიდენტის არჩევნები ხელმეორედ, რაც მოხდება უახლოეს მომავალში.

ნაციონალისტები და სახალხო პარტია გაერთიანდნენ და წამოაყენეს საერთო კანდიდატი—იარრესი, რომელმაც მიიღო 10.700.000 ხმა; სოციალ-დემოკრატიის კანდიდატმა—ბრაუნმა მიიღო 7.838.000 ხმა; შემდეგ მისდევენ სხვა პარტიების კანდიდატები. სხვათა შორის, კომუნისტების კანდიდატს ამხ. ტელმანს ხმა მისცა 1.800.000 ამომრჩეველმა.

ვინ გაიმარჯვებს ხელმეორე არჩევნებში? ერთი რომ ამ თავითვე შეიძლება ითქვას: სოციალ-დემოკრატების კანდიდატი ვერ ეღირსება პრეზიდენტობას. გერმანიის ბურჟუაზიას უკვე შესრულებულად მიაჩნია მისი როლი ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცების საქმეში: ერთ დროს ებერტი მიაჩნდა მას თავის მხსნელად. და მართლაც, ებერტმა მთელი თვისი უფლება და გავლენა მოახმარა ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცების საქმეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიაში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა, რევოლიუციის უშუალო საფრთხე აცილებულ იქნა, სწორედ ებერტის პარტიის აქტიური დახმარებით,—ბურჟუაზია გადავიდა შეტევაზე ებერტის წინააღმდეგაც. ებერტის პროცესიც მაგდებურგში სწორედ გერმანიის ყოფილი პრეზიდენტის გაშავებას ისახავდა. ის რომ არ მომკვდარიყო, საეჭვოა რომ აირჩევდენ.

ბურჟუაზიას უნდა ჰყავდეს პრეზიდენტად თავისი კაცი. ნაციონალისტების და სახალხო პარტიის კანდიდატი—იარრესი, თუმცა თავისი პოლიტიკური წონით, აგრეთვე თავისი პიროვნების ღირებულებით არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი გამოდგება იარაღად, რათა მემარჯვენე, მებრძოლმა ბურჟუაზიამ მისი შემწეობით გაატაროს თავისი პოლიტიკა.

რანაირია ეს პოლიტიკა? მსხვილი ბურჟუაზია და მიწისმფლობელები მიისწრაფვიან მონარქიის აღდგენისაკენ. ლიუტერის დღევანდელი მთავრობაც არსებითად მონარქიული მთავრობაა.

გერმანია წარმოადგენს რესპუბლიკას რესპუბლიკანელების გარეშე. მთელი სახელმწიფო აპარატი მონარქისტების ხელშია. ბიუროკრატია, ოფიცრობა მონარქიულადაა განწყობილი. გერმანიის მონარქიული სახელმწიფო მანქანას აკლია მხოლოდ „თავი"—მონარქი. იარრესის გამარჯვება მემარჯვენე ბურჟუაზიას მიაჩნია გარდამავალ საფეხურად მონარქიის აღდგენისაკენ.

მაგრამ უფრო მოსალოდნელია შემდეგი: „ზომიერი" პარტიები—ცენტრი, დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები შეკრავენ ერთიან ბლოკს, უკანასკნელნი ხელს აიღებენ თავის კანდიდატზე პირველის კანდიდატის სასარგებლოდ და პრეზიდენტად არჩეული იქნება ცენტრის წარმომადგენელი, სახელდობრ მარქსი. ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატები დაკარგავენ თავის სახეს, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია: მათ უწერიათ ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი.

რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, მის მონაწილეობას არჩევნებში წმინდა სააგიტაციო-საპროპაგანდო ხასიათი აქვს. თავისი პოზიციის გამოაშკარავება გერმანიის ძირითადი და მიმდინარე საკითხებისადმი, სოც.-დემოკრატიის მოღალატეობის გამოაშკარავება, მასების დარაზმვა მომავალი ბრძოლებისათვის,—აი, ჩვენი მოძმე პარტიის მიზანი.

ჯოჯოხეთურ პირობებში მოუხდა და უხდება კომპარტიას არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მუშების მასიური დახვრეტა, კომუნისტების მეთაურების ჩაყრა ციხეებში, კომუნისტური გამოცემების დახურვა-დარბევა,—აი, რით გაუმასპინძლდა ჩვენს პარტიას ფაშისტური და მონარქიული ბურჟუაზია. და საკვირველია, რომ ასეთ პირობებში მან მაინც შესძლო 1.800.000 ხმის შეკრეფა. ეს ძირითადი კადრია, რომელიც შერჩა რევოლიუციის წითელ დროშას, მიუხედავად ათასგვარი განსაცდელისა.

პრეზიდენტის არჩევნების საბოლოო შედეგებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკისათვის. გერმანიის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. მას შეუძლია დროებით გააუქმოს კონსტიტუცია და მიითვისოს დიქტატორული უფლებები, იგი ანხორციელებს შეიარაღებულ ძალების ხელმძღვანელობას და სხ.

მემარჯვენე ჯგუფები სცდილობენ ამ უფლებების გამოყენებას, რათა მოამზადონ ნიადაგი მონარქიული გადატრიალებისათვის. „ზომიერი" პარტიები კიდევ ებღაუჭებიან პრეზიდენტობას, რათა გაახანგრძლივონ მოჩვენებითი რესპუბლიკანური წყობილება, რომლის იქით იმალება აღვირახსნილი რეაქცია.

მაგრამ ცხადია, რომ გერმანიის ხალხის ბედი არ გადასწყდება ამა თუ იმ პრეზიდენტის არჩევით. იგი გადაწყდება რევოლიუციონურ ბრძოლის გზით. მხოლოდ ამ ბრძოლის გამარჯვებით დამთავრება დღეს ხანგრძლივ და სისტემატიურ მუშაობას მოითხოვს, მშრომელი მასების თანდათანი, განუწყვეტელ მობილიზაციას, თვით კომპარტიის შინაგანი გამტკიცებას. გერმანიის კომპარტიის მთელი ენერგიაც სწორედ აქეთკენაა მიმართული.

უმუშევრობის საკითხი

II

ნათქვამია, და მართალიც არის, კითხვის სწორად დაყენება ნიშნავს უკვე ნახევრათ იმის გადაჭრასო. თუ არ იცი, საიდან მიუდგე საკითხს, როგორც გოგოლის „გოროდნიჩიმ" არ იცოდა რა ნაირათ მიდგომოდა „რევიზორთან" ლაპარაკს, მაშინ შეგექმნება მხოლოდ მდგომარეობა ერთი და იმავე დროს სასაცილო და სატირალი.

უმუშევრობის საკითხი ვერ გვაქვს ჩვენ სრული სისწორით დაყენებული იმ მხრივ, რომ ჯერ საფუძვლიანი და ყოველმხრივი გამოკვლევა არ შესრულებულა უმუშევრობის მიზეზებზე. არის ხოლმე ცდა აუარებელ ციფრობრივ მასალებში გარკვევის და საყურადღებოა, სხვათა შორის, ერთი ამისთანა ცდა ამხ. გ. ბენაშვილის (თბილ. საბჭოს „მოამბე"-ში, № 3—(7), 1924 წ.). მაგრამ ციფრობრივი მასალების გარჩევას ვერ მივყავართ იმის ვრცელ წერილში მიზეზების მეცნიერულ შესწავლამდის. ნაჩვენები კი არის იქ ის გზა, რომელსაც უნდა დაადგეს მომავალში ასეთი შესწავლა. ნაჩვენებია „წარმოების ლიკვიდაცია და შტატების შემცირება", როგორც მთავარი მიზეზი უმუშევრობის.

ამ მიზეზით გამოწვეული უმუშევრობა, მისი ციფრების მიხედვით, უდრიდა თბილისში 1921 წ.—41 პროცენტს, 1922 წ.—62 პროც.-ს, 1923 წ.—72 პროცენტს.

ეს ზრდა მაჩვენებელია ჩვენი მრეწველობის მდგომარეობის. ამ მაჩვენებელს დავინახავთ 1924 წლის და მიმდინარე წლის დასაწყისის ციფრობრივი მასალებიდანაც. აქედან ჩანს, რომ უმუშევრობასთან ბრძოლა, ეს არის პირველ რიგში ჩვენი მრეწველობის გაჯანსაღების საკითხი.

დიდი მიღწევაა ექიმობაში, როცა ავადმყოფს აღარ ემჩნევა გაუარესება ავადმყოფობის. დიდი მიღწევა იქნება ეკონომიურ აღმშენებლობაში, როცა შეჩერდება პროცესი საწარმოო დარგების ლიკვიდაციის. უნაყოფოთ ჩაივლის უმუშევრობასთან ბრძოლა, წყალში გადაყრა გამოვა ამ ბრძოლაზე გაღებული თანხების, თუ იერიში არ მივიტანეთ იმ მთავარ მიზეზზე, რომელიც იწვევს ხოლმე დროგამოშვებით „წარმოებათა და დაწესებულებათა დახურვას".

ამიტომ ვთქვი წინა წერილში, რომ უმუშევრობასთან ბრძოლა უნდა იქნეს შესული საგეგმო მუშაობის პროგრამაში. საქართველოს საგეგმო კომისია ახალგაზრდა დაწესებულებაა ჯერ, მაგრამ რამოდენიმე წლით იმაზე უფრო საკავშირო საგეგმო კომისიასაც არ აქვს ჯერ პრაქტიკულ საქმიანობაზე გამოცდილი მეთოდი. თეორეტიულათ ადვილია იმის თქმა, რომ სამეურნეო აღმშენებლობაში დაცული უნდა იქნეს მიზანშეწონილობა, მოსაზრებული მომჭირნეობა, რომ ხელი ეწყობოდეს მომგებიანი საწარმოო დარგების განვითარებას, არ ვფლანგავდეთ დროს და თანხებს უნიადაგო წამოწყებებისათვის.

ეს ძნელია პრაქტიკულათ. არა ვართ ჯერ საბოლოოთ შესული ისეთ მყუდრო ხანაში, რომ არაფერმა არ აგვირიოს გეგმიანი მუშაობა. არ შეიძლება ყველაფერი დალაგებული იყოს ამ მუშაობაში ახლა და არ გამოდიოდეს საწარმოო ხარჯების მეტნაკლებობა. მაგრამ გარკვეული უნდა იყოს მიმართულება მუშაობის. მიმართულების მხრივ კი უთუოთ ასაცილებელია თავიდან ერთი ნაკლი. ჩვენ გვიყვარს ფართო ხელგაშლილობა იმ დროს, როცა ჯერ პატარ-პატარა და უფრო სადვილო პოზიციებზე ვერ ვართ სავსებით ფეხმოკიდებული. ეკონომიკაში ყველაზე უფრო საჭიროა რეალიზმი, რეალური პოლიტიკა. უნდა ფიქრობდე პირველი მოთხოვნილების წამოწყებებზე, აშენებდე ძირიდან, პატარა მიღწევებით, ამაგრებდე მეურნეობის ხერხემალს, რომ უსაფუძვლო ოცნებათ არ იქცეოდეს მეორე ფართო და დიდ გეგმებზე ფიქრი.

სადღეისო ეკონომიური პოლიტიკის დანიშნულებათ არის აღიარებული: **„პირი სოფლისკენ".** ზოგნაირი შესაძლებლობაა ასეთი სამეურნეო დარგების, საიდანაც სოფელს მიეცემა მისი პირველი საჭიროების დამაკმაყოფილებელი საქონელი. ჩვენი ბუნება აუარებელ სიმდიდრეს იძლევა ამისთანა დარგების შესაქმნელათ. პატარა წამოწყებებს არ სჭირდება უზომო თანხები. სოფელი ამ გზით შეიძენს საქონელსაც და იშოვნის სამუშაოსაც. სასოფლო წვრილი მრეწველობა ერთ-ერთი და დიდი დასაყრდნობი წერტილი იქნება უმუშევრობასთან ბრძოლაში.

გლეხს არ უნდა აკლდეს ჯერ თოხი, ბარი, არ უნდა უჭირდეს პერანგის ჩაცმა, საშუალება უნდა მიეცეს უკეთ დაიმუშაოს თავისი მიწა, გაიდიდოს მოსავლიანობა თავისი მიწის, მერე შეიქნება მისთვის პირველ საჭიროების საგნათ ელექტრონული განათება და სხვა.

სოფლისაკენ პირის მიბრუნება მიზნად აქვს დასახული ქალაქის მსხვილ მრეწველობასაც. საქართველოს სივრცეზე ამ მიზნის განხორციელება, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში. მაგრამ საქართველოც განიცდის „მაკრატლის საკითხს" იმით, რომ სოფელი—მომხმარებელი და ქალაქი მწარმოებელი ერთმანეთთან შემჭიდროებული ვერ არიან.

აი სწორედ აქ უნდა მიექცეს ყურადღება სხვადასხვა სახის კოლექტივებს, არტელებს. საწარმოო თუ სავაჭრო კოლექტივების და არტელების დაარსება იმ მიზნით, რომ ქალაქის ნაწარმოები გაადვილებით მიეწოდოს სოფლის ბაზარს და გამოცოცხლდეს საქონლის ბრუნვა ქალაქ-სოფელში. ეს იქნება იმავე დროს უმუშევრობასთან ბრძოლა. ჯერ-ჯერობით დაარსებულია თბილისში სამიოდე ათეული კოლექტივია. პრაქტიკა მოახდეს, ალბათ, გადარჩევას, ზოგი მათგანი იარსებებს, ზოგი გაუქმდება. მაგრამ, თუ გარკვეული გეგმით ვიხელმძღვანელებთ, შევქმნით ხოლმე ისეთ კოლექტივს, ან არტელს, როგორსაც მართლა მოითხოვს საჭიროება, მაშინ თბილისში და მთელი საქართველოს სხვა ქალაქებში ნიადაგი გამოუჩნდება არა მარტო სამიოდე ათეულ კოლექტივს და სამუშაო მიეცემა რამოდენიმე ათას უმუშევარს.

არტელების და კოლექტივების შექმნაში ხელი უნდა შეეწყოს თითონ უმუშევრების თაოსნობას, უნდა ექნეს მათ იმავე დროს სახელმწიფოს ხელმძღვანელობა და დახმარება თანხებით.

რუსეთის ეკონომიურ პრესაში ახლა დიდი ყურადღებაა მიქცეული კერძო ვაჭრობის საკითხზე. ეს საკითხი ირჩევა ყველგან მთელი კავშირის ფარგლებში საგანგებოთ მოწვეულ კონფერენციებზე, ბირჟებთან დაარსებულ სექციებში. სავაჭრო პოლიტიკის მიზნათ არის დასახული ისეთი ზომების გამომუშავება, ისეთი პირობების შექმნა, რომ კერძო კაპიტალს გაუადვილდეს საქონლის ბრუნვაში ჩაბმა. — უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს ის საგადასახადო და ადმინისტრატიული პრაქტიკა, რომელიც ხელს უშლიდა აქამდის კერძო კაპიტალის ჩარევას ვაჭრობაში,—ამბობს ეკონომიური პრესა.

ამისთანა გადახედვას უდიდესი მნიშვნელობა ექნება უმუშევრობასთან ბრძოლაში. კერძო კაპიტალის მონაწილეობა მტკიცე ნიადაგზე დააყენებს არტელებს და კოლექტივებს. მონაწილეობას კი მაშინ მიიღებს, როცა აღარ ექნება შიში ყოველგვარი მოულოდნელობის.

ამნაირათ, ვაჭრობა და მრეწველობაა ის ორი დარგი, რომლენიც ჩვენ გვჭირდება უმუშევრობასთან ბრძოლაში.

მესამე დარგი, სადაც უნდა ვეძებოთ უმუშევრობის მიზეზები და საიდანაც უნდა ვებრძოლოთ უმუშევრობას, ეს არის სოფლის მეურნეობა. სოფელს მიწა არ ყოფნის და არც ეყოფა, რაც უნდა გადანაწილდეს კიდევ მიწით სარგებლობა. ზედმეტი მუშა ხელი იძულებულია გავიდეს სოფლიდან.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მოიძებნება ჯერ-ჯერობით გამოუყენებელი მიწები. სახელმწიფოს უკვე განზრახული აქვს დაჭაობებული მიწების გაშრობა. მალარიასთან ბრძოლისთვის გადადებულია საჭირო თანხები. ჭაობების ამოშრობა მოითხოვს დიდ ძალ მუშა-ხელს. ეს იქნება ის საზოგადოებრივი სამუშაო, რომელიც, სხვათაშორის, გათვალისწინებული აქვს საქ. საგეგმო კომისიას უმუშევრობასთან ბრძოლაში. განზრახული აქვს აგრეთვე სასოფლო სამეურნეო არტელის ან კოლექტივის შექმნა თბილისის გარშემო მდებარე მიწების გამოსაყენებლათ.

ჩვენ არ ვსწერთ რეცეპტებს. საზოგადოებრივ მეცნიერებას არ გამოუგონია ისეთი აფთიაქი, საიდანაც გამოიტანება უმუშევრობის წამალი. ჩვენ გვინდა მხოლოდ გამოვარკვიოთ მიმართულება იმ მუშაობის, რომელიც ნაყოფიერი იქნება უმუშევრობის წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა, ასე ვთქვათ, პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი ამ მუშაობის. ეს უნდა იქნეს პროცესი ბრძოლის, და არა ერთდროული რეცეპტისებური ზომები.

ს. დევდარიანი.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის*)

პირველი შეხედვით გეგონება თითქოს შეუძლებელი იყოს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელება. გარდა იმ მრავალი უთანხმოებისა, რომელსაც განხეთქილება შეაქვს მუშათა კლასში, არსებობს კიდევ სხვადასხვაგვარი მიმართულებების და ხრიკების მთელი ქსელი. მაგრამ იმავე დროს მუშა ყველგან ერთდაიმავე ძირითადი პრობლემების წინაშე სდგას.

თვითეულ ქვეყანაში ის იძულებულია გადაწყვიტოს თავისი ადგილობრივი ამოცანები. თავის გამურულ ფანჯრიდან ის ხედავს მხოლოდ თავის ფაბრიკებს, თავის კანტორებს და თავის მაღაზიებს. მას არ აქვს ფართო მსოფლმხედველობა. ჩვენ უნდა დავანახვოთ მას, რომ ის ფანჯარა, საიდანაც ის იყურება, მოთავსებულია გრძელი კარიდორის ბოლოში. მდგომარეობა ისეთია, რომ ინგლისის ტრედ-იუნიონებს წილად ხვდათ მუშების წინ წაყვანა. ამ საქმეს ჩვენ ვერ მივანდობთ ვერც თეორეტიკოსებს და ვერც პოლიტიკურ ინტრიგანებს.

მუშათა კლასის საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა აერთიანებდეს **ყველა** მუშებს, მის გარეთ არ უნდა იყოს დარჩენილი არც ერთი მათგანი.

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დაიცავს მუშათა მთელ მასას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თავი უნდა დავანებოთ იმაზე ფიქრს, თუ რა იქნება რევოლიუციის შემდეგ. ემზადეთ რევოლიუციისათვის, მოამზადეთ თქვენი იარაღი, ეცადეთ მიაღწიოთ გამარჯვებას; და მხოლოდ მაშინ, შეტევის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ და იფიქროთ. ეხლა კი მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უფრო მნიშვნელოვან ამოცანას.

ევროპის მთელს მატერიკზე არ არსებობს მთლიანობა. ამჟამათ ჩვენში აუწერელი ქაოსია. ზოგიერთ ქვეყნებში პროფესიონალური მოძრაობა დაყოფილია 6 ორგანიზაციათ, რომლებიც მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს. სხვა ქვეყნებში კი ჩვენ ვხედავთ ორ-სამს, ხანდახან კი ოთხ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ორგანიზაციებს. ზოგიერთ ქვეყნებში პროფკავშირები ჯერ კიდევ იძულებული არიან გაფთრებული ბრძოლა აწარმოონ თავისი არსებობის უფლების მოსაპოვებლათ. არის ქვეყნები, სადაც პროფკავშირები მუდმივ დევნას განიცდიან მთავრობის მხრიდან. იქ ხშირათ აპატიმრებენ პროფკავშირების მუშაკებს.

მარტო ბრიტანეთის პროფესიონალური მოძრაობაა თავისუფალი შინაგანი დაყოფისაგან. მხოლოდ მარტო მას შეუძლია, რუსეთის პროფმოძრაობასთან კონტაქტში, მოსპოს ყველა დაბრკოლებები, თუ პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაცია ჩვენი წინადადების საპასუხოდ გადასდგამს რეალურ ნაბიჯებს საერთაშორისო მთლიანობის განსახორციელებლად.

აი ამიტომ მე მინდა მოვუწოდო პროფმოძრაობის ყველა წევრებს, რომ მათ დაიცვან პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობა.

ნუ თუ არ შეიძლება მოვსთხოვოთ ჩვენს პროპაგანდისტებს, რომ მათ საკითხი პროფესიონალური მოძრაობის შესახებ დააყენონ მის ნამდვილ ნიადაგზე? განა გაზვიადებული იქნება მოთხოვნა იმისა, რომ მათ დაჟინებით მოითხოვონ ამ საკითხის დასმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმ მიზნით, რომ აღნიშნული იქნეს მისი მნიშვნელობა ცალკე სექციების ყველა კონფერენციებზე და კრებებზე?

თითქმის ყველა ევროპიულ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენ შემოვიარეთ, ჩვენ გვხვდებოდენ ყვირილით: „რა ზომებს იღებენ ინგლისის პროფკავშირები მთლიანობის შესაქმნელათ?" პროფკავშირების ადგილობრივი ორგანიზაციების წევრები გვთხოვდენ ჩვენ ყველგან და ყოველთვის გვემუშავნა ამ ამოცანის განხორციელებისათვის. თვითონ მე პირადათ მრავალი დეპეშები და წერილები მივიღე უცნობი ამხანაგებისაგან, რაც უკვე მოწმობს იმას, რომ მრავალრიცხოვან მუშათა მასების ყურადღება მოპყრობილია ჩვენსკენ და ისინი ელიან მთლიანობის განხორციელებას.

და ჩვენ ვერ დავსტოვებთ მათ. ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილება.

ჩვენ საუცხოვო შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენ მრავალი შანსები გვაქვს გამარჯვების მოსაპოვებლათ. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ისინი და უნდა გადავლახოთ ყველა ჩვენი გაუგებრობანი.

ა. პერსელი.

პოლონელ ჟანდარმების „პატრიოტიზმი"

ამხ. ამხ. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მოკვლა პოლონელ პოლიციელის მიერ

„საბჭოთა კავშირი მზად არის საერთაშორისო ეკონომიური პოზიციების დასაპყრობად"

პოლონელ მემამულეების შურისძიება

ამხ. ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლა

მინსკი, 31 მარტი. 30 მარტს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე მინსკის მახლობლად გაცვლილი უნდა ყოფილიყო 2 პოლონელი პოლიტიკური პატიმარი ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი. იმავე დღეს პოლონეთის გენერალურმა ელჩმა მინსკში გადასცა გარეშე საქმეთა სახკომისარის რწმუნებულს შემდეგი ტელეფონოგრამა პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის სახელით:

„პოლონეთის გენერალურ ელჩს მინსკში.

გთხოვთ აცნობოთ გარეშე საქმეთა სახ. კომისარის რწმუნებულს, **რომ გუშინ პოლონეთის საზღვართან თავს დაესხენ პოლიტიკურ პატიმრებს. ბაგინსკი გარდაიცვალა. ვეჩორკევიჩი დაჭრილია. სწარმოებს კვლევა-ძიება".**

როგორც კი ამ ამბის შესახებ გაიგეს, მინსკში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა გაიარეს პოლონეთის საკონსულის წინ და პროტესტს აცხადებდენ პატიმრებზე თავდასხმის გამო.

მკვლელობა წინასწარ მოფიქრებული იყო.

დამსწრეთა ნაამბობი.

მინსკი. 30 მარტი. როდესაც საბჭოთა ტერიტორიაზე მოვიდა მატარებელი სადგ. სტოლბციდან, მგზავრებმა განაცხადეს, რომ ვაგონი, რომელშიაც ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი იმყოფებოდენ მიბმული იყო მატარებელზე და გაიგზავნა საბჭოთა საზღვარზე. **მაგრამ გზაში ვაგონი მოხსნილი იქნა. მგზავრებმა დაინახეს, რომ ვაგონთან მივიდა საბარგო ავტომობილი და ვაგონიდან გამოიტანეს ორი გვამი. შემდეგ საბარგო ავტომობილი წავიდა სად. სტოლბცეში.**

ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი, ალბად, აწამეს პოლონეთის მხლებელმა პოლიციელებმა.

დაწვრილებითი ცნობები მკვლელობის შესახებ

ვარშავა, 30 მარტი. გუშინ დღის 3 საათზე, როდესაც მატარებელი, რომელშიაც ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი იმყოფებოდენ, გაშორდა სტოლბცისა და მიუახლოვდა კოლოსოვოს, **პოლიციის მხლებელ რაზმის უფროსმა მურაშკომ რევოლვერით მოჰკლა ბაგინსკი და მძიმედ დასჭრა ვეჩორკევიჩი.** მურაშკო გამოცხადდა ხელისუფლებასთან და განაცხადა, რომ ჩაიდინა პატრიოტული გმირობა. მატარებელი დაბრუნდა უკანვე სტოლბცში. **ვეჩორკევიჩი გარდაიცვალა.**

მოსკოვი, 30 მარტი. გამოირკვა, რომ ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი მიჰყავდათ მატარებლით სადგ. ბარანოვიჩიდან სტოლბცამდე. სტოლბცში ვაგონი, რომელშიაც პატიმრები იმყოფებოდენ, მიბმული უნდა ყოფილიყო საბჭოთა მატარებელზე, **მაგრამ ამის ნაცვლად ვაგონი გადაყვანილი იყო სათადარიგო ლიანდაგზე. გარეშე პირები, რომელნიც სადგურზე იმყოფებოდენ, გარეკილ იქნენ პოლიციის მიერ.** მატარებლის მხლებელნი შერეკეს სადგურის საბაჟო დარბაზში.

მნახველები იუწყებიან, რომ შემდეგ იმ ვაგონიდან, სადაც ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი იმყოფებოდენ, პოლიციელებმა გამოიტანეს გვამი. შემდეგ ნასილკებით გადმოიტანეს თავგასისხლიანებული მამაკაცი.

საკაცეების გარშემო მოდიოდენ მრავალი პოლიციელები, რომელთა შორის იმყოფებოდა სტოლბცის სადგურების კომენდანტი, მისი თანაშემწე, სტოლბცის მამასახლისი და სხვა წარმომადგენლები. მიცვალებული და დაჭრილი საბარგო ავტომობილით გაგზავნეს ქალაქში.

მნახველების სიტყვით, ვეჩორკევიჩი და ბაგინსკი მოკლული იქნენ ვაგონში, რომელშიაც მათ ხდარაჯობდენ 15—20 ჟანდარმი და პოლიციელი.

მნახველები ამტკიცებენ, რომ ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი მხეცურად აწამეს პოლონეთის პოლიციელებმა.

მკვლელი დაუსჯელი რჩება

ვარშავა, 30 მარტი. ირკვევა შემდეგი დაწვრილებითი ცნობები ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მოკვლის შესახებ:

მატარებელი, რომლითაც მიემგზავრებოდენ ვეჩორკევიჩი და ბაგინსკი, შესდგებოდა ერთი საბარგო ვაგონისა და ორთქლმავალისაგან. ვაგონში ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის გარდა იმყოფებოდა ქალაქ სტოლბცის მოურავი ზაიენჩკოვსკი, მისი მოადგილე კურსტიცკი, გარეშე საქმეთა სამინისტროს ორი წარმომადგენელი და სამაზრო პოლიციის კომენდანტი შინკევიჩი.

ახალი ვერსიით მურაშკომ მოჰკლა ვეჩორკევიჩი და ბაგინსკი იმისათვის, რომ ვითომ ბოლშევიკებს გაენადგურებინოსთ მისი მამული და სამჯერ დამუქრებოდენ მას დახვრეტით. დაჭრის შემდეგ ბაგინსკიმ იცოცხლა კიდევ ორი საათი, ხოლო ვეჩორკევიჩი გარდაიცვალა 30 მარტს დილით.

მურაშკო დაპატიმრებულია. სწარმოებს საქმის კვლევა-ძიება. **გაზეთების ცნობით მურაშკოს არ გადასცემენ საველე სასამართლოს, რადგან მკვლელობას არ ჰქონია პირადი ანგარების ხასიათი.** პოლონეთის გაზეთების საერთო აზრით მკვლელობა ზიანს მიაყენებს პოლონეთის ინტერესებს. თუმცა პრესა ჰკიცხავს მკვლელს „თვითნებობისათვის", მაგრამ ამას იგი სჩადის ლმობიერი კილოთი.

„დიპლომატები"

მოსკოვი. 31 მარტი. კსენდზი (მღვდელი) უსასსი, რომელიც ჩავიდა მინსკში პოლიტიკურ პატიმარზე გადასაცვლელად იმის შემდეგ, რაც ეს გადაცვლა არ მოხდა, ჩაიკეტა პოლონეთის საკონსულოში და უარი სთქვა ლენინგრადში გამგზავრებაზე. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება, რათა უსასსი დაპატიმრებული და გადაგზავნილი იქნეს ლენინგრადში, სადაც ახლო მომავალში უნდა შესდგეს სკანდალური პროცესი, რომელიც ამჟღავნებს საბჭოთა კავშირში არსებულ პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებებს.

უსასს ბრალად ედება იმ კომისიის თანამშრომელ ქალების მხეცურად წამება, რომელსაც ის ედგა სათავეში. ის აწამებდა აგრეთვე მასთან მისულ მთხოვნელ ქალებს. წამება ხდებოდა სქესობრივი გახრწნის ნიადაგზე, ეს იცოდა საელჩომ, მაგრამ ის არავითარ ზომებს არ ღებულობდა.

სიმართლეს აღიარებენ

რომი, 30 მარტი. „ტრიბუნა" აღნიშნავს, თუ რამდენად ღარიბია იტალიის პავილიონი ლეიპციგის ბაზრობაზე და ამბობს: **„ბოლშევიკობას დღე ნურავინ დაგვწამებს, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის პავილიონში ყველაფერი საუკეთესოდ არის გამოფენილი და რომ ის რამოდენიმე დარბაზი, რომელიც მიკუთვნებული აქვს საბჭოთა კავშირს ლეიპციგში, პირდაპირ სასწაულს ახდენს მთელს ბაზრობაზე თავის მორთულობით. საბჭოთა კავშირი ბაზრობაზე მისი გამოსვლით ამტკიცებს, რომ ის წარმოადგენს ევროპის ეკონომიური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორს და მზად არის დაიპყროს საერთაშორისო ეკონომიური პოზიციები".**



ოტტო ბრაუნ

სოციალ-დემოკრატების კანდიდატი გერმანიის პრეზიდენტის პოსტზე.



იარრეს

იუნკრებისა და მონარქისტების კანდიდატი გერმანიის პრეზიდენტის პოსტზე.

ჩინეთის ამბები

ჩჟან-ცზიუ-მინი სასტიკად დამარცხდა

პეკინი, 30 მარტი. სიმაგრე ცაიკოუ—ჩჟან-ცზიუ მინის უკანასკნელი პოზიცია კვანტუნის პროვინციაში, რომელსაც რამოდენიმე კვირის განმავლობაში ალყა ჰქონდა შემორტყმული კანტონის ჯარების მიერ, **აღებულია. მთელი პროვინცია გაწმენდილია მოწინააღმდეგეებისაგან კანტონის ჯარების მიერ.**

შინაპარტიული ბრძოლა

პეკინი, 30 მარტი. **გომინდანის პარტიაში მწვავდება სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლა. იტყობინებიან, რომ გომინდანის მემარჯვენე ფრთის სხდომაზე პეკინში შეტანილ იქნა წინადადება კომუნისტების და მემარცხენე ელემენტების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.**

გაფიცულებისათვის დახმარების გაწევის გამო.

პეკინი, 30 მარტი. ჩინეთის სამი რადიკალური გაზეთის რედაქტორები გადასცეს შერეულ სასამართლოს. მათ ბრალი ედებათ იმაში, რომ გაფიცვის დროს აქვეყნებდენ მუშების ცნობებს.

ფეიქრების გაფიცვა

პეკინი, 30 მარტი. 10 ფეიქარს, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ გაფიცვის დროს უცხოეთის კომისიის მიერ, მიუსაჯეს დაპატიმრება 3-დან 6 თვის ვადით ან ჯარიმა 100-დან 200 დოლარამდე.

საბჭოთა კონსულის განცხადება

პეკინი, 30 მარტი. იმ ანტისაბჭოთა კამპანიის გამო, რომელსაც ეწევიან უკანასკნელ დროს შანხაიში, საბჭოთა კავშირის კონსულმა შანხაიში გამოაქვეყნა განცხადება, **რომ საბჭოთა კავშირის მხრივ არც ერთ წევრს არ მიუღია მონაწილეობა აგიტაციაში და გაფიცვის ხელმძღვანელობაში. მისიის თანამშრომლები არავითარ დახმარებას არ უწევდენ გაფიცულებს.**

პარტიის წევრების მუშაობით დატვირთვის შესახებ

ჩვენი დიდი ბელადის და მასწავლებლის—ამხ. ლენინის დაკარგვამ არევ-დარევა არ შეიტანა ჩვენი პარტიის რკინის რიგებში, არ დაშალა ისინი. პარტია კიდევ უფრო განმტკიცდა, კიდევ უფრო მძლავრათ მოიკრიფა თავისი ძალები და ნებისყოფა მისი ანდერძის განსახორციელებლათ. მისი დიდი იდეები, რომლებიც შეიგნეს და შეითვისეს მთელი მსოფლიოს დაჩაგრული მშრომელების მრავალმილიონიანმა მასებმა, სცოცხლობს და დღითი დღე ფართოვდება და მტკიცდება. მისი მოწაფეები, ლენინის ძველი გვარდია, ოქტომბრის მონაპოვართა ერთგული დამცველები, პროლეტარული რევოლიუციის საქმის ერთგული გამგრძელებლები—მტკიცედ სდგანან თავის სადარაჯოზე.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ხან ბუნების ულმობელი კანონები, ხან სასტიკი ბრძოლა რევოლიუციის და პროლეტარიატის მტრებთან, ხან კიდევ ბრმა სტიქია ჩვენი რიგებიდან იტაცებენ ერთგულ და თავდადებულ ლენინელებს.

ჩვენთვის, ამიერ-კავკასიის კომუნისტებისათვის ძველი ბოლშევიკების, ძველი გვარდიის საუკეთესო წარმომადგენლების—ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეკოვის დაკარგვა იმდენათ დიდი და სერიოზული მოვლენაა, რომ მას ღრმათ უნდა ჩაუფიქრდეთ და იქიდან უნდა გამოვიტანოთ გადამწყვეტი და გადაუდებელი დასკვნა.

მწუხარების და გლოვის გრძნობამ, რომელსაც ეხლა განიცდის ყოველი ჩვენგანი, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ახლო იცნობდა მათ, როგორც ხელმძღვანელ-კომუნისტებს და საუცხოვო ამხანაგებს, უნდა დაანახვოს მთელს პარტიას, რომ ეს დანაკლისი გვამცნობს ჩვენ საშიშროებას და მოგვაგონებს, რომ საჭიროა გაუფრთხილდეთ ძველ გვარდიას, რომ ამისთვის საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ხანგრძლივათ შენარჩუნება და, ბოლოს, საჭიროა გაძლიერებული მუშაობა ლენინელების ახალი კადრების მოსამზადებლათ,—იმ კადრების, რომლებსაც უნდა დაეკისროს ძველი გვარდიის სამუშაოს ნაწილი.

ჩვენი ძველი ამხანაგების—პარტიის და საბჭოთა პოლიტიკის ხელმძღვანელების დატვირთვა და ყოფა-ცხოვრება ეხლა ისეთია, რომ თუ მათ წინააღმდეგ არ ვაწარმოეთ გადამწყვეტი ბრძოლა, განსაზღვრული რეგლამენტაციის გზით, ჩვენ შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში სულ დავკარგოთ ისინი.

მთელმა მათმა წარსულმა მღელვარე რევოლიუციონურმა, ათასგვარი ტანჯვით და გაჭირვებით აღსავსე ცხოვრებამ ღრმა დაღი დაასვა მათ ორგანიზმს; ყველა მათ ემჩნევათ საგრძნობი ორგანიული ნაკლულევანებანი. ამასთანავე ისინი არაჩვეულებრივ დატვირთული არიან მუშაობით, ისინი განუწყვეტელი ჟონებრივ მუშაობას აწარმოებენ 8—9 საათის განმავლობაში, შემდეგ ნახევარი საათით ისვენებენ და ხელახალა იწყებენ მუშაობას; საერთოდ დღე და ღამის განმავლობაში ისინი მუშაობენ 16—18 საათი.

ასეთი მდგომარეობა უნდა მოისპოს, საჭიროა მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ ნორმალურათ, ჯანსაღათ იქნეს მოწყობილი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების ცხოვრება. მათი სიცოცხლე პარტიას ეკუთვნის. პარტიამ ხმა უნდა აიმაღლოს, მან უნდა მოითხოვოს, რომ მოგვარებული იქნეს საკითხი როგორც მათი პერიოდული ხანგრძლივი დასვენების შესახებ, ისე მათი მუშაობის და დასვენების ნორმალურათ მოწყობის შესახებაც.

ასეთივე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი პარტიული ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი შემცვლელების აქტიურ ნაწილსაც. მათ ორგანიზმსაც ხიფათი მოელის. ის შეიძლება დასუსტდეს, ვერ გაუძლებს არაჩვეულებრივ დატვირთვას. ისინიც აგრეთვე მეტათ დატვირთული არიან, საჭიროა მათზეც ვიზრუნოთ.

და ბოლოს, სერიოზული, კატეგორიული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დატვირთვა პარტიის პასუხისმგებელ წევრებს შორის თანაბრათ არ არის გატარებული. არიან ამხანაგები, რომლებიც მუშაობენ, ზოგიერთები კი კმაყოფილდებიან იმით, რომ თავის დროს ატარებენ სამსახურში, მხოლოდ პარასკევობით ასრულებენ თავის პარტიულ მოვალეობას უჯრედში და ამით ამოიწურება მათი მონაწილეობა პარტიის და საბჭოთა მუშაობის ყველა სფეროების გაცხოველებული აღმშენებლობის საქმეში. საჭიროა კატეგორიულათ მოვითხოვოთ პარტიის წევრებისაგან, პარტიის თვითეული წევრისაგან, რომ მან იმუშავოს შეძლებისდაგვარათ.

საჭიროა, რომ თვითეულმა ამხანაგმა თავისი თავი მიაკუთვნოს ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ ჯგუფს და მიიღოს სასწრაფო ზომები ამ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლათ.

მაგრამ ამასთანავე მთელმა პარტიამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს თვითეული პარტიული ამხანაგი და ამის მიხედვით თანაბრათ განაწილოს მათ შორის სამუშაო.

საჭიროა მუშაობის გაწესრიგება და თვითეული პარტიული ამხანაგის მუშაობის აღრიცხვა.

კერძოთ კი, ძველი გვარდიის ყველაზე უფრო პასუხისმგებელ ჯგუფებს პარტიამ უნდა მოსთხოვოს ანგარიში არა მარტო იმაში, თუ რას აკეთებენ ისინი, არამედ იმაშიაც, რამდენს და როგორ ისვენებენ და როგორ იკრეფენ ახალ ენერგიას მუშაობისათვის. საჭიროა განსაზღვრული იქნეს მათი სამუშაო დღე და მათ მოეთხოვოს პასუხი ზედმეტი მუშაობისათვის.

მარიამ ორახელაშვილი



ერნსტ ტელმან

რევოლიუციონური პროლეტარიატის კანდიდატი გერმანიის პრეზიდენტის პოსტზე. კომუნისტი.

---

*) წერილი დაბეჭდილია ბელგიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში „წითელი დროშა".

უკანასკნელი ცნობები

მატარებლების დაჯახება

მოსკოვი. 31 მარტი. 30 მარტს, დღის 3 საათსა და 40 წუთზე, ყაზანის რკინის გზის მოსკოვ-სოკოლნიკის სადგურთან, მთავარ გზაზე, კავკასიიდან მოსკოვში მიმავალი ჩქარი მატარებელი დაეჯახა მოსკოვიდან მიმავალ ქალაქ გარეთის მატარებელს. დაჯახების დროს მოკლულია 10 კაცი, მძიმეთ დაჭრილია 10, მსუბუქად 16, გალახულია 14. სრულებით დამსხვრეულია სამი ვაგონი, მათ შორის ორი საბარგო, დაზიანებულია ორი ვაგონი. გაფუჭებულია 2 ორთქლმავალი. მიზეზი არის გადასაყვანი ისრის გაფუჭება.

გზათა სახ. კომ.-ის რუძუტაკის თავმჯდომარეობით შესდგა ამ უბედურების გამო სასწრაფო სხდომა. მიღებულია ზომები კატასტროფის დროს დაღუპულ ოჯახების უზრუნველსაყოფად.

ემიგრანტ კულულაშვილის მოკვლა

ვარშავა. 30 მარტი. ვარშავის ერთ-ერთ კაფეში რევოლვერის გასროლით მოკლულ იქნა ქართველი პოეტი (?)—ემიგრანტი სერგო კულულაშვილი.

გადმოგვცემენ, რომ მკვლელობა მოხდა რომანიულ ნიადაგზე. კულულაშვილი იყო ვარშავაში ქართული კომიტეტის ერთ-ერთი მომწყობთაგანი.

თხოვნა შეწყალების შესახებ.

პეკინი. 31 მარტი. სამხედრო-სატრანსპორტო გემ „მონგუგაიზე" მყოფმა ყაზახებმა, რომელნიც ამას წინედ აუჯანყდენ თავის თეთრგვარდიელ კომანდირს გლებოვს, ყოფ. ატამან ანისიმოვის მეთაურობით მიმართეს შანხაიში მყოფ საბჭოთა საკონსულოს თხოვნით შეწყალებისა და სამშობლოში მათი დაბრუნების შესახებ.

„მონგუგაი" გადაეცა შანხაიში მყოფ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს.

ჩან-ძო-ლინი და პეკინის მთავრობა

პეკინი, 30 მარტი. პეკინის მთავრობის წარმომადგენლის მიერ ამას წინედ მუკდენში ჩასვლამ ნაწილობრივად გააუმჯობესა ურთიერთობა პეკინის მთავრობასა და ჩან-ძოლინს შორის. ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა განცხადება სადაც ნათქვამია, რომ მისსა და მთავრობის შორის არ არსებობს სერიოზული უთანხმოებანი.

ვის უწევდა ანგარიშს მაკდონალდი

ლონდონი. 30 მარტი. კომუნისტური პარტიის ორგანო „სანდეი უორკერი" ამტკიცებს, რომ მაკდონალდმა უარი განაცხადა საბჭოთა კავშირში ელჩების დანიშვნაზე, საბჭოთა ელჩის მიღებაზე ლონდონში ამით მან „ანგარიში გაუწია" „მეფის გრძნობას", რომელსაც წინაამდეგ შემთხვევაში მიუხდებოდა „ბოლშევიკის მიღება სადარბაზოთ და მისთვის ხელის ჩამორთმევა". დადგა თუ არა ხელისუფლების სათავეში, მაკდონალდმა მოლაპარაკება გამართა მუსოლინთან და დაჟინებით მოითხოვდა, რათა უკანასკნელს ხელი არ მოეწერა საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებაზე და არ მოეხდინა ელჩების გაცვლა-გამოცვლა, ვინაიდან ეს აიძულებდა ინგლისის მთავრობას დადგომოდა იმავ გზას. მუსოლინი დასთანხმდა იმ პირობით, თუ იტალია და ინგლისი იცნობენ საბჭოთა კავშირს ერთმანეთთან შეთანხმებით.

მუსოლინი შეუდგა თავის ვალდებულების ასრულებას და სხვადასხვა მოტივებით აჭიანურებდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის დელეგაციასთან. მაგრამ მაკდონალდი ინგლისის პროლეტარიატის ზეგავლენით იძულებული იყო გაეგზავნა რაკოვსკისათვის ნოტა ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ მუსოლინის დაუკითხავად.

პირველი ცნობა ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ მუსოლინიმ ამოიკითხა გაზეთებში. ფაშისტების ბელადი აღშფოთებული იყო და მან გადასწყვიტა სამაგიერო გადაეხადა მაკდონალდისათვის. ერთად-ერთ საშუალებას ამ მხრივ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირთან ელჩების გაცვლა-გამოცვლა, რაც მუსოლინიმ კიდეც განახორციელა.

უმუშევართა დემონსტრაცია ინგლისში

ლონდონი. 30 მარტი 10.000 უმუშევარმა პარლამენტის რამოდენიმე წევრთან ერთად გამართა დემონსტრაცია მთელს ლონდონში. დემონსტრაცია მივიდა ჰაიდ-პარკამდე.

უმუშევართა დემონსტრაცია წარუდგა შრომის მინისტრს, რომელმაც განუცხადა უმუშევრებს, რომ თუ ვაჭრობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და უმუშევრობა არ შემცირდა, ის ოქტომბერში შეიტანს შესწორებას კანონში უმუშევართა დახმარების შესახებ. დელეგატებმა გადასცეს დემონსტრანტებს მინისტრთან საუბრის შინაარსი. **დემონსტრაციის მონაწილეებმა გამოიტანეს რეზოლიუცია აგიტაციის გაძლიერების შესახებ.** რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ აგიტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას იმისთვის, რომ ვაიძულოთ მთავრობა მიიღოს სათანადო ზომები უმუშევრობის საკითხის გადასაჭრელად.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

შვეცია

მუშების ხარჯზე.

სტოკჰოლმი. 29 მარტი. გეტებორგის მელითონეების და ფაიფურის მრეწველობის მუშების პროფკავშირებმა დაადგინეს **ჯერ არ დაიწყონ მუშაობა.** ისინი უკმაყოფილო არიან შეთანხმებით, რომელმაც გამოიწვია ლოკაუტის შეწყვეტა.

ბურჟუაზიული პრესა ზეიმობს მიღწეული შეთანხმების გამო. „სოციალ-დემოკრატენ" შეთანხმებას სთვლის მწარმოებლების დამარცხებათ. კომუნისტური გაზეთი „პოლიტიკენ" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **შეთანხმება მოხდა მუშების ხარჯზე; ამ შეთანხმებით ყველაზე უფრო იჩაგრებიან ის მუშები, რომლებიც ყველაზე ნაკლებ ჯამაგირს ღებულობენ.**

ახალი კონფლიქტი.

სტოკჰოლმი. 29 მარტი. **გეტებორგში წარმოიშვა კონფლიქტი მეზღვაურებსა და მუშების მეპატრონეებს შორის.**

დანია

110.000 კაცი იბრძვის.

კოპენჰაგენი. 29 მარტი. პროექტი, მუშათა და მეწარმოებლებს შორის კონფლიქტის მოგვარების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს შუამავალმა შეიმუშავა და პროფკავშირთა გაერთიანებამ მიიღო, უარყოფილ იქნა მეწარმოებლების მიერ. მოლაპარაკება გრძელდება. მოელიან ლოკაუტის და გაფიცვის გაფართოებას. კონფლიქტში ჩათრეულია 110.000 მუშა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსკოვის საბჭოს არჩევნები.

მოსკოვი. 31 მარტი. 6 დღის განმავლობაში მოსკოვის საბჭოში არჩეულია 996 დეპუტატი, აქედან 670 კომუნისტი, 25 კომკავშირელი, 301 უპარტიო, სულ არჩეულია 164 ქალი.

მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა ყრილობა.

მოსკოვი. 31 მარტი. 10 აპრილისათვის მოწვეულია მოსკოვის მე-7-ე საგუბერნიო საბჭოთა ყრილობა.

პირველი გაზეთი ჩეჩენთა ენაზე.

მოსკოვი. 31 მარტი. საჩეჩნეთში გამოვიდა პირველი საგლეხო გაზეთის პირველი ნომერი. გაზეთი ჩეჩნური შრიფტის უქონლობის გამო გამოვიდა ლიტოგრაფიული წესით.

გემების გამოსვლა ოდესა-ალექსანდრიის ხაზზე.

ოდესა. 30 მარტი. იწყობა გემების რეგულიარული მიმოსვლა ოდესა-ალექსანდრიის ხაზზე. გემები შეივლიან სტამბოლში, სმირნაში, პირეუში და იაფაში.

დახმარება სასოფლო აღმშენებლობას.

მოსკოვი. 30 მარტი. სასოფლო აღმშენებლობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ცემენტის და კრამიტის გადატანაზე დაწესებულია შეღავათიანი სარკინიგზო ტარიფი. შეღავათი შეიცავს საერთო ტარიფის 50 პროცენტს.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

მოსკოვი. 31 მარტი. ვაქვეყნებთ ამხ. ზინოვიევის მოხსენებას, რომელიც მან წაიკითხა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 25 მარტის სხდომაზე:

ორი პრობლემა.

ორი პრობლემაა ამ ჟამათ კომინტერნის მუშაობის ცენტრალური პუნქტი. ეს არის საკითხი პროლეტარული რევოლიუციის ტემპის შესახებ და საკითხი მარშრუტის შესახებ.

რაც შეეხება ტემპს,—უნდა ითქვას, რომ იმ გამოცდილების ნიადაგზე, რომელიც ჩვენ უკვე გვაქვს, ჩვენ დავრწმუნდით იმაში, თუ როგორის სიფრთხილით უნდა მივუდგეთ საკითხს საერთაშორისო რევოლიუციის ვადის განსაზღვრის შესახებ. სწორედ ამ სფეროში სცდებოდა არა მარტო ლენინი, არამედ მარქსიც.

ეხლა შევეხოთ საკითხს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მარშრუტის შესახებ. რუსეთის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენ ყველა შევთანხმდით იმაში, რომ შემდეგი რიგი გერმანიაზეა, სადაც გადავა რევოლიუცია რუსეთიდან, შემდეგ კი ის შემოივლის მთელ ევროპას. მხოლოდ ეხლა ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ მართალი იყო თუ არა ეს შეხედულება პროლეტარული რევოლიუციის მომავალ მარშრუტზე, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის ერთადერთ შესაძლებელ გზაზე. უეჭველად გერმანიიდან უნდა გადავიდეს რევოლიუცია ევროპაში? არ შეიძლება, რომ აქ შეცდომა მოხდეს მარშრუტის შეფასებაში? შეიძლება მოხდეს, რომ რევოლიუცია ევროპაში გავრცელდება არა გერმანიიდან, არამედ სხვა რომელიმე ქვეყნიდან. საჭიროა გაითვალისწინოთ სხვა შესაძლებლობანიც.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საკითხები რევოლიუციის ვადისა და მარშრუტის შესახებ გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა.

ჩვენი მეხუთე კონგრესის შემდეგ მხოლოდ 9 თვე გავიდა. ასეთი მოკლე პერიოდის განმავლობაში მდგომარეობა შესამჩნევად არ შეცვლილა. მეხუთე კონგრესის მიერ შემუშავებული ხაზი ბრწყინვალედ გამართლდა. მეხუთე კონგრესის შემდეგ მომხდარმა ამბებმა გაამართლა კომინტერნის თვალსაზრისი.

საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა.

ეხლა შევეხოთ საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობას გასული 8—9 თვის განმავლობაში ის არსებითად არ შეცვლილა. ბურჟუაზიამ შესვენების საშუალება მიიღო. ეს შესვენება უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. ბურჟუაზიის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში და ევროპის გარეთაც. მრავალ ქვეყნებში ბურჟუაზიამ შესძლო თავისი ვალიუტის განმტკიცება. მაგრამ ნამდვილი კომუნისტი ხედავს, რომ, ვსთქვათ, გერმანიაში და საფრანგეთში, გადასახადების მთელი სიმძიმის ორი მესამედი დაკისრებული აქვთ მშრომელებს და, მაშასადამე, ვალიუტა განმტკიცებულია მუშათა კლასის გაყვლეფის საშუალებით. მაგრამ მაინც მარქსისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ვალიუტის განმტკიცების ფაქტს და აქედან გამომდინარე კაპიტალისტური წესწყობილების დროებით განმტკიცებას.

მაგრამ რამდენათ მერყევია მდგომარეობა, სჩანს იმ ფაქტებიდან, რომლებიც უკანასკნელი დროის განმავლობაში ხდება, როდესაც ჩვენ ხელახლა ვხდებით მოწმენი იმისა, რომ ბურჟუაზიის მდგომარეობა ნაწილობრივ უარესდება...

რეწველობის კრიზისი და უმუშევრობა

შეერთებულ შტატებში უკვე იცვლება კონიუნქტურა. მრეწველობის ზოგიერთი დარგების მდგომარეობა შეირყა. ინგლისის ეკონომიური პრესა აღნიშნავს, რომ ცენტრალ. ევროპის განმტკიცებული მდგომარეობა ვერ იქნება ხანგრძლივი და ახლო მომავალში მოსალოდნელია ისევ კრიზისები. საფრანგეთში გაძლიერდა უმუშევრობა, რაც საგრძნობი არ ყოფილა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. უმუშევრობა იზრდება აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც.

გერმანია მძიმე კრიზისს განიცდის ნახშირის მრეწველობაში. განუწყვეტლივ გრძელდება კრიზისი პოლონეთში, ავსტრიაში და უნგრეთში. მოკლედ რომ ვსთქვათ—ნათლად სჩანს მთელი რიგი სიმპტომებისა, რომელიც ამტკიცებენ იმას, რომ სტაბილიზაცია განიცდის სერიოზულ რყევას.

როგორი არის მუშათა კლასის მდგომარეობა ამ „ბედნიერ" სტაბილიზაციის დროს. უმუშევრობა თანდათან იზრდება. ინგლისში უმუშევართა რიცხვი უკვე ორ მილიონს აღწევს; ამდენივეა ამერიკაშიც; გერმანიაში უმუშევართა რიცხვი მილიონს უახლოვდება; დიდი უმუშევრობა არის აგრეთვე იტალიაში, ჩეხო-სლოვაკიაში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში. ყველგან—ევროპაში და თვით ამერიკაშიც რეალური ხელფასი კლებულობს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რუსეთი, სადაც ხელფასი მრეწველობის რამდენიმე დარგში ომის წინანდელ დონეზე მაღლა იწევს. ასეთია საქმის მდგომარეობა.

მსოფლიო კრედიტი ახლდება, ვალიუტა მტკიცდება, ვაჭრობა იზრდება, მაგრამ ამასთან ერთად იწყება ბრძოლა გამსაღებელ ბაზრებისათვის. ჩვენ არ დავმალავთ და ვიტყვით, რომ ამჟამად ხდება კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია. ჩვენ პირდაპირ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც არის. ბურჟუაზიამ რომ ცოტათი შეისვენა—ფაქტია და მიუხედავათ ამისა, ჩვენს წინაშე ძველებურად სდგას საკითხი: მსოფლიო ომმა და პირველმა ბოლშევიკურმა რევოლიუციამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა კაპიტალიზმს, თუ მსუბუქად დასჭრა იგი? ჩვენ ძველებურად იმ აზრს ვადგივართ და ფაქტებიც იმას ამტკიცებენ, რომ პირველმა ბოლშევიკურმა რევოლიუციამ და მსოფლიო ომმა მეტად დააზიანა კაპიტალიზმი და მისი „გაჯანსაღება" არის დროებითი, მოჩვენებითი მოვლენა. მაგრამ ამ მოვლენას—კაპიტალისტურ მეურნეობის დროებით „გაჯანსაღებასაც" ჩვენ პირდაპირ უნდა შევხედოთ.

მეხუთე კონგრესის მოწვევის დროს პაციფისტურ-დემოკრატიული „ხანა" ბრწყინავდა. მაგრამ ჩვენ მეხუთე მსოფლიო კონგრესის რეზოლიუციებშიც ხაზს ვუსვამდით მას, რომ დემოკრატიულ-პაციფისტური „ხანა" არის ეპიზოდი და ისტორიის მიხვეულ მოხვეული გზის ერთ-ერთი საფეხური. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენ მართალნი ვიყავით.

პოლიტიკური პერსპექტივები.

თანამედროვე მდგომარეობაში ჩვენ ყველაზე უფრო მეტად გვაინტერესებს პოლიტიკური პერსპექტივები. ინგლის-ამერიკის ურთიერთობა ნაწილობრივად წარმოადგენს ჩვენი დისკუსიის ცენტრალურ პუნქტს. იმ ფაქტს, რომ ამერიკამ კვლავ პირი იბრუნა ევროპისაკენ, ცხადია, მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ამაში ეჭვი არავის ეპარება. მათი დაახლოვება მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, მიუხედავად ამ დაახლოების დროებითი და გარდამავალი ხასიათისა, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება რომ ამერიკასა და ინგლისს შორის არსებობს და თითქმის მწვავდება კიდეც ინტერესთა წინააღმდეგობანი. ინგლისის კონსერვატიულ მთავრობასა და ამერიკის თანამედროვე მთავრობას შორის სოციალური ნათესაობა არსებობს. მაგრამ ეს სოციალური ნათესაობა ნიშნავს თუ არა მათ შორის მეგობრულ ურთიერთობის არსებობას? არავითარ შემთხვევაში. იმპერიალიზმი იმპერიალიზმია. ბრძოლა და კონკურენცია გრძელდება. წინააღმდეგობანი ინგლისსა და ამერიკას შორის თანდათან იზრდება.

ეს წინააღმდეგობანი შეგვიძლია დაახლოვებით აქ პუნქტში გამოვხატოთ:

პირველი მათგანი არის ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონიისათვის. მსოფლიო კრედიტორს წარმოადგენს ამერიკა. ბრძოლა ამ დარგში ინგლისსა და ამერიკას შორის უკვე არსებობს და მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

ინგლისსა და ამერიკაში უკვე აშკარად ლაპარაკობენ კანადის ჩრდილო-ამერიკის ახალ შტატად გარდაქმნის შესახებ. ბრიტანეთის იმპერიის დაშლის ტენდენცია თანდათან უფრო აშკარა ხდება. „ტაიმსმა" მოათავსა რამდენიმე წერილი, სადაც ის გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ თანდითან იზრდება საფრთხე ბრიტანეთის იმპერიის მთლიანობის არსებობისათვის. „ტაიმსის" წერილებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელ დედამიწაზე და მთელის კვირაობით იწერებოდა ამ წერილების შესახებ ინგლისის ყველა გაზეთებში. ინგლისის ბურჟუაზია გრძნობს, რომ დომინიონები ხელიდან ეცლება მას. საკითხი მარტო კანადის შესახებ უკვე საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ინტერესთა წინააღმდეგობანი ინგლისსა და ამერიკას შორის თანდათან იზრდება.

ამასთანავე ამერიკას სურს ისარგებლოს იმ წინააღმდეგობით, რომელიც არსებობს ევროპის ცალკ-ცალკე სახელმწიფოთა შორის. იმპერიალიზმის ყველა დამახასიათებელი თვისება, რომელთა სწორი აღნუსხვაც საფუძვლად დაედო ლენინის თეორიას იმპერიალიზმის შესახებ, სავსებით და აშკარად მოსჩანს ამ შემთხვევაში.

აღმოსავლეთის საკითხი

იაპონია ბურჟუაზიულ გადატრიალების წინ სდგას. ის მოძრაობა, რომელიც ამჟამად ვითარდება იაპონიაში, ნაწილობრივად მოგვაგონებს 1905 წელს რუსეთში. ასეთმა გადატრიალებამ კი ჩვენს დროში უნდა დააჩქაროს განმანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში და ამით მოაახლოვოს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია.

აღმოსავლეთის საკითხი—განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია: აღმოსავლეთის პრობლემა ისეთის სისწრაფით მწიფდება, რომლის წარმოდგენაც ჩვენ წინეთ არ შეგვეძლო. საბჭოთა რესპუბლიკებს ამ ჟამად ჩინეთთან ფრონტის საერთო ხაზი აქვთ. ეს არის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობის მოვლენა, მისი შედეგების გათვალისწინება ჯერ შეუძლებელია. გომინდანის პარტიის ზრდას, რომელიც ნაწილობრივად ჩვენ თანაგვიგრძნობს, კომინტერნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩინეთში, ეგვიპტეში, ჰოლანდიის ინდოეთში—ყველგან იზრდება მოძრაობა. ლენინი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა აღმოსავლეთს. ის ნათლად ხედავდა, რომ აღმოსავლეთიდან მოდის რევოლიუციის დიდი მარქაფი ლაშქარი, რომ შეიძლება რევოლიუციამ შეიცვალოს თავისი მარშრუტი და სხვა კარებიდან შემოვიდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღმოსავლეთში სცხოვრობს 900 მილიონი კაცი—დედამიწის მოსახლეობის უმეტესობა. თუ ჩვენ გვსურს მსოფლიო მდგომარეობის საერთო სურათის მიღება, ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება არა მარტო ევროპას, არამედ აღმოსავლეთსაც.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინება.

შემდეგი მომენტს, რომელიც ახასიათებს თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინება. კავშირი გაძლიერდა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა განმტკიცდა და ამას ყველა ხედავს. პირველ ყოვლისა გაუმჯობესდა სამეურნეო მდგომარეობა, რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენი მტრები თანდათან შეურიგდენ არსებულ მდგომარეობას, რასაც თან მოჰყვა ჩვენთან შეთანხმებათა დადება და ჩვენი ცნობა.

ჩვენ არ უნდა შეგვაშფოთოს იმ გარემოებამ, რომ ინგლისი და ამერიკა ერთმანეთს დაუახლოვდენ. ანგარიში უნდა გავუწიოთ აღმოსავლეთისა და ჩვენი რესპუბლიკების კავშირის მდგომარეობას, რომელიც აღმოსავლეთის ხიდს წარმოადგენს.

მდგომარეობა ევროპაში

ეხლა გადავიდეთ ინგლისის მდგომარეობაზე. მე მგონია, რომ ჩვენ ვიმყოფებით იმ პერიოდის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო რევოლიუციის მომავალი განვითარების სიმძიმის ცენტრი შეიძლება თანდათან გადავიდეს ინგლისში. კონსერვატიული მთავრობა არ შეიძლება შეცვლილ იქნეს ლიბერალური მთავრობით. ამ ჟამად ინგლისში არსებობს ორი დიდი ძალა: კონსერვატორები და მუშათა პარტია. თუ კონსერვატორები იძულებულნი შეიქნენ ადგილი დაუთმონ სხვა პარტიებს,—მათ ადგილს დაიკავებს არა ლიბერალური, არამედ მუშათა პარტია. ამიტომ ინგლისის მუშათა პარტიის მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მუშათა პარტიის თანდათანობითი ცვლილება აშკარა ფაქტს წარმოადგენს. არა ნაკლებ აშკარაა მისი მემარცხენე ფრთის ზრდაც. ეს მომენტები იმას გვიჩვენებენ, რომ კონსერვატიული ინგლისი ვულკანზედ სდგას. ინგლისის მდგომარეობა არ გვიჩვენებს სტაბილიზაციის სიმპტომებს—პირიქით, იგი თანდათან რევოლიუციისაკენ იხრება.

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაში ადგილი აქვს წინააღმდეგობათ. ბრძოლა სწარმოებს ევროპაში გაბატონებისათვის. საფრანგეთში მდგომარეობა არ არის მტკიცე. ერრიოს მთავრობამ პოლიტიკის მხრივ ამოსწურა თავისი თავი. თავის სიცოცხლის გაგრძელებისათვის ის უარჰყოფს თავისი სიცოცხლის აზრს, თავისი სიცოცხლის შინაარსს. საფრანგეთის პროლეტარიატი გადიდდა რიცხვით. გაიზარდა მისი პარტიაც. იწყება მუშაობა ახალ შენებში და გლეხობაში.

ბალკანეთის ქვეყნებში—რუმინეთში, ბულგარეთში და სამხრეთ-სლავიაში რევოლიუციისათვის არსებობს სამი ფაქტორი: გლეხთა მოძრაობა, ეროვნული მოძრაობა და მუშათა მოძრაობა. ამ სამი ფაქტორის ურთიერთ-ზეგავლენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ეს ურთიერთი ზეგავლენა არის კიდევაც აქ. გარეგნულად რეაქცია ბალკანეთში თითქოს ყველაფრის შემძლეა. ღრმად თუ დავაკვირდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებშიც მდგომარეობა მერყევია.

გერმანიაში ამჟამად არ არსებობს უშუალო რევოლიუციონური მდგომარეობა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიაში მოისპობა კლასიური ბრძოლა, რომელიც არც აქამდის მოსპობილა და არც აწი მოისპობა. დოუესის გეგმას რამდენიმე ხნის შემდეგ მოყვება კიდევ უფრო გამწვავებული კლასიური ბრძოლა, რომელიც არ დაყუჩდება მთელის წლობით.

პოლონეთში მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ბალკანეთზე. იტალიაში ფაშიზმის დამარცხება ჯერ ვერ მოხერხდა. მაგრამ იტალიის მდგომარეობა არ არის ურყევი და იქ მოსალოდნელია ყველაფერი, გარდა კონსოლიდაციისა.

ჩეხო-სლოვაკიაში ბურჟუაზიის მდგომარეობა ისეთია, რომ მისთვის შექმნილ სიძნელიდან ის ლეგალურ გამოსვლებს ვერ პოულობს. კოალიცია იმსხვრევა.

სკანდინავიაში მწვავდება კლასიური ბრძოლა. იდილიას იქ ბოლო მოეღო.

ამასთანავე საბჭოთა კავშირის მიმზიდველი ძალა თანდათან მატულობს, მოძრაობა საბჭოთა კავშირში მრავალრიცხოვან პროფკავშირთა დელეგაციების გზავნის სასარგებლოდ მხოლოდ ეხლა იწყება და, ცხადია, თანდათან გაიზრდება. უცხოეთიდან სოციალ-დემოკრატიულ და უპარტიო მუშათა წარმომადგენლებს იზიდავს ის ინსტინქტიური გრძნობა, რომ საბჭოთა კავშირში დაიწყო ნამდვილი სოციალისტური აღმშენებლობა.

ანგარიშს ვუკეთებ ნათქვამს: ფრონტის სხვადასხვა ნაწილებში ბრძოლა ისეთის სიძლიერით არ სწარმოებს, როგორც 1923 წელში და დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში აღარ არის გამწვავებული რევოლიუციონური მდგომარეობა; მაგრამ საერთოდ მსოფლიო მდგომარეობა კვლავინდებურად რჩება ობიექტიურად რევოლიუციონურ. კომინტერნის გავლენა იზრდება.

შემდეგ გადადის რა დემოკრატიულ-პაციფისტურ „ხანის" დახასიათებაზე, ზინოვიევი დაასკვნის:

1924 წლის „დემოკრატიულ-პაციფისტური „ხანა" არის მხოლოდ ეპიზოდი იმპერიალისტური ომების ეპოქაში და პროლეტარულ რევოლიუციის მომზადებაში. ეს პერიოდი მეტად ხანმოკლე გამოდგა: წვრილმა ბურჟუაზიამ თვით მუშათა პარტიის სახითაც კი ვერ შესძლო ეთამაშა დამოუკიდებელი როლი. ამჟამად ინგლისში ანგარიში უნდა გავუწიოთ მხოლოდ ორ გადამწყვეტ ფაქტორს: მუშათა კლასს და კაპიტალიზმს. მაკდონალდის მთავრობა მუშაობდა კომუნისტებისა და კომინტერნის სასარგებლოდ.

სოციალ-დემოკრატია—„დაამარცხა" ფაშიზმმა. მან თავის ბელადების პირით უარჰყო თავისი თავი და მუშათა პარტია, დაიკავა წვრილბურჟუაზიული პოზიცია და იგი შეიქნა ბურჟუაზიულ დემოკრატიის ფრთად. ბურჟუაზიის დროებითი გაძლიერება უდრის ნაწილობრივად სოციალ-დემოკრატიის დროებით გაძლიერებასაც. ბურჟუაზიის დამხობა იმავე დროს სოციალ-დემოკრატიის დამხობაც იქნება. ამგვარად კომინტერნის ტაქტიკა აბსოლიუტურად სწორი იყო. მეხუთე კონგრესის ბოლშევიკურმა, ლენინის ხაზმა სავსებით გაამართლა თავისი თავი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

აფხაზეთის საბჭოების ყრილობა.

სოხუმი 28 მარტი. გაიხსნა აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობა. პირველი სხდომა მიძღვნილი იყო ამხ. ნარიმანოვის და ტრაგიკულად დაღუპულ ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეკოვის ხსოვნისათვის.

1.500 გუთანი.

სოხუმი, 28 მარტი მიმდინარე წელში აფხაზეთის კოოპერატიულმა კავშირმა [illegible] მანქანებთან ერთად გაჰყიდა 1.500 გუთანი.

აჭარა

ქიმიური საზოგადოების ჟურნალი.

ბათომი, 27 მარტი პირველი აპრილიდან ბათომში გამოვა აჭარის ქიმიის მეგობართა საზოგადოების ყოველ-თვიური ორგანო.

აზერბაიჯანი

ბაქოს ტრამვაის დათვალიერება.

ბაქო, 30 მარტი. ბაქოს საბჭომ მიიღო წერილი პროფეს. მატლენისა და პოლივანოვისაგან, რომლებმაც ამ ზამთარში დაათვალიერეს ბაქოს ტრამვაი. წერილში ბაქოს ტრამვაი შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ტრამვაი მთელს საბჭოთა კავშირში. ბაქოს ტრამვაი ცნობილია არა მარტო როგორც აუცილებელი, არამედ აგრეთვე კომერციულად მეტად ხელსაყრელი წარმოება.

უმუშევართა ახალშენი.

ბაქო. 30 მარტი. უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოება ხსნის ლენინაკანში საბავშვო ახალშენს.

მაზუთი საფრანგეთისათვის.

ბაქო. 30 მარტი. **„აზნეფტ"-მა მიიღო ცნობა, რომ საფრანგეთის მთავრობამ შეისყიდა 50 ათასი ტონა მაზუთი.**

განათლების მუშაკთა მეოთხე ყრილობა

მეორე სხდომა

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამ. სატარიფო-ეკონომიური მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. გეგენავა)

ცენტრალური გამგეობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა კავშირის წევრთა ძირითადი მასის სკოლის მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით ცენტ. გამგეობა მონაწილეობდა სახ. გან. კ-მის საფონდო მუშაობაში, ხელფასის ფონდის განაწილებაში, ზომებს იღებდა ხელფასის ფონდის გასაძლიერებლად, დავალიანების და ხელფასის თავის დროზე მოუცემლობის სალიკვიდაციოდ და სხვ.

გამგეობა სცდილობდა, რომ კოლექტიური ხელშეკრულებანი და სატარიფო შეთანხმებანი გავრცელებულიყო განათლების მუშაკთა უმრავლესობაზე.

საერთოდ განვლილ პერიოდს სატარიფო ეკონომიური მუშაობის დარგში ახასიათებს ჩვენი ადგილების გამოცოცხლება, ინიციატივის და ენერგიის გამოჩენა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განათლების მუშაკთა სამუშაო ქირის ფონდი თანდათან იზრდება და იქმნება განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებელი პირობები. 1924 წლის აპრილში სამუშაო ქირის ფონდი უდრიდა 270 ათას მანეთს.

იმავე წლის აგვისტოში ეს ფონდი ავიდა 380 ათასი მ., ხოლო 1925 წლის მარტიდან 430 ათას მანეთამდე ავიდა.

მე-3 ყრილობამ დაავალა ცენტრალურ გამგეობას, რომ სკოლის მუშაკთა შრომის საშუალო ხელფასი 32 მანეთამდე აეყვანა ე. ი. გატარებია შეფარდება 1:8. ამის შესასრულებლად მუშაობდა ცენტ. გამგეობა მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მაგრამ 1925 წლის აგვისტოში ხელფასი მაინც არ შეცვლილა, მხოლოდ აგვისტოდან პირველი საფეხურის მუშაკებს საგრძნობლად მოემატათ სამუშაო ხელფასი, რომელიც საშუალოდ უდრის 30 მანეთს. გადიდებულ იქნა აგრეთვე სპეც-ტექნიკუმების მუშაკთა სამუშაო ქირა.

ფრიად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს სკოლების ტექნიკური პერსონალის მდგომარეობა. ტექნიკური პერსონალი ორ ჯგუფად იყოფა: მათი უმეტესობა ადგილობრივ მომარაგებაზე იმყოფება, უმაღლესი სასწავლებლების—ტექნიკური კი სახელმწიფო მომარაგებაზეა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი გახდა მოგვეხერხებია, რომ თბილისის აღმასკომა ტექნიკური პერსონალისათვის სამუშაო ქირა გაედიდებია. ამგვარივე მდგომარეობაა რესპუბლიკის თითქმის ყველა მაზრებში; რაც შეეხება უმაღლესი სასწავლებლებს და მუშათა ფაკულტეტების ტექნიკურ პერსონალს, მიმდინარე სასწავლო წელში მათ თითქმის 100 პროც. გაუდიდდათ სამუშაო ქირა.

უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა სამუშაო ქირაც საერთოდ უცვლელი დარჩა. საშუალოდ ის ასეთია: პროფესორები 143 მან. დოცენტები 117 მან. ლექტორები—მასწავლებელნი 60 მან. თუ სავსებით დატვირთულნი არ არიან: ასისენტები—სამეც. მუშ. 75 მან. პრეპარატორები—ორდინატორები 1-ნახევ., განაკვეთით—40 მ. 50 კ. 47 მ. 25 კ. უნივერსიტეტთან დატოვებულნი 1-ნახევ. 49 მ. 95 კ. ბექვდის მუშაკთათვის შენარჩუნებულია სათანადო დირექტივებით შემუშავებული მაქსიმუმი: 1 კატეგორიით 12 მან. ცხრილი 1:8; არის 15 მან. იმავე ცხრილით.

სამუშაო ქირის თავის დროზე მიცემის მხრივ საანგარიშო პერიოდს უეჭველი პროგრესი ახასიათებს, მაგრამ ეს საკითხი სავსებით მაინც არ არის მოწესრიგებული.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საკონფლიქტო-კომისიების მუშაობას და კავშირის ცენტრალური გამგეობის ღონისძიებებს განათლების მუშაკთა შრომის დაცვის დარგში.

პარტიული ცხოვრება

დღეს, 1 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცეკას შენობაში (რუსთავ. პროსპ. № 22) შესდგება

საქ. კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის

გაფართოებული პლენუმი

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ც. კ. სამდივნოს ბიუროს გამგე **ბერძენიშვილი**

კომკავშირელების ლენინური აღზრდისათვის სოფლად

ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირი თვალსაჩინო ადგილს იკავებს დღევანდელ ჩვენს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კომკავშირი ეს ახალი ძალაა, რომელიც ჩვენს ნახევრად ფეოდალურ სოფელს აღვიძებს და გადახალისების გზაზე აყენებს. კომკავშირის ორგანიზაციაში ახალი თაობა ითვისებს ლენინიზმს, კომკავშირის ორგანიზაციიდან პარტია ღებულობს საუკეთესოდ მომზადებულ და გაწვრთნილ მუშაკებს. ამასთანავე ყველასათვის ცხადია ის გარემოება, რომ ეს ორგანიზაცია თუ როგორ დღითი დღე იზრდება როგორც რიცხვობრივად (30,000 საქართველოს მასშტაბით), ისე თვისობრივად.

მხოლოდ აქ ჩვენ გვინდა შევჩერდეთ კომკავშირელთა ლენინური აღზრდის საკითხზე სოფლად.

კომუნისტური კავშირის წევრების დიდი უმეტესობა სოფლად შესდგება ახალგაზრდა გლეხებისაგან, რომელთაც სიღარიბისა და სხვა მიზეზების გამო სასკოლო განათლება არ მიუღიათ. თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვას კომკავშირის ორგანიზაციისაკენ, რათა ამით თავი დააღწიოს კარჩაკეტილობას და უცოდინარობას, მაშინ ადვილი გასაგები იქნება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელობითი საქმის დაყენებას თავის სათანადო დონეზე. აქ ხაზი უნდა გაუსვათ იმასაც, რომ სოფლად კომკავშირის აქტივი მეტად სუსტია მომზადების მხრივ და ამიტომ ის ვერ აკმაყოფილებს კავშირის წევრების მოთხოვნილებებს. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ლიტერატურა, რომლითაც ხელმძღვანელობის გაწევა შეეძლოს ჩვენს ქვედა უჯრედებს, მეტად მცირეა და მარტო „პოლიტიკური ანბანით" შორს ვერ წავალთ. არ არის ხელმისაწვდომი ლიტერატურა სასოფლო-სამეურნეო და აგრონომიულ საკითხებზე, რომლის შესწავლით შეგვიძლია მნიშვნელოვანი რეალური შედეგების მიღება სასოფლო-მეურნეობაში. ეს ნაკლი ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გამოსწორდეს და მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ჩვენი საკავშირო მუშაობა სოფლად გაცილებით უფრო ცოცხალ ხასიათს მიიღებს და საგრძნობ მიღწევებთანაც გვექნება საქმე. ხელმძღვანელი კადრის გაძლიერების და სოფლისათვის საჭირო ლიტერატურის ფართოდ გავრცელების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია კომკავშირის ორგანიზაციისათვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა იქონია მსჯელობა ამის შესახებ და კიდეც გამოიტანა შესაფერი დადგენილება. საჭიროა სხვადასხვა ორგანოების მხრით დახმარების აღმოჩენა მისი ცხოვრებაში გასატარებლად.

პარტიამაც უნდა იზრუნოს ამაზედ. მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კომკავშირელების ლენინური აღზრდის საქმეს სოფლად.

კალე წალენჯიხელი.

საქართველოს შინსახკომის რწმუნებულის კომუჯრედი № 32

ა | წ. 27 მარტს შესდგა კომუჯრედის ღია სხდომა, რომელსაც დაესწრო 21 პარტიის წევრი, 9 კომკავშირელი და 74 უპარტიო თანამშრომელი.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: ამხ. ათაბეკოვის მოხსენება ა | წ. მარტის თვეში ტრაგიკულად დაღუპულ ამხ. ამხ. ხსოვნის აღსანიშნავად.

მომხსენებელმა პერსონალურად განმარტა თვითეული დაღუპულ ამხ. ბიოგრაფია და ხაზგასმით აღნიშნა მათი თავდადებული ბრძოლა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, რის შემდეგ კომუჯრედის ღია სხდომა ამხ. ამხ. ხსოვნის აღსანიშნავად ადგენს:

კრება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იმ მოულოდნელ მსხვერპლის გამო, რომელიც თავს დაატყდა კომპარტიას და საკავშირო რესპუბლიკებში მცხოვრებ მშრომელებს.

კავშირის რესპუბლიკებმა ამ რამდენიმე დღის განმავლობში დაჰკარგეს ექვსი აქტიური, ძველი მუშაკები და ხელმძღვანელები, თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოცდილნი ამხ. ამხ. ნარიმანოვი, ვლადიმიროვი მარხლევსკი, მიასნიკოვი, ათარბეკოვი და მოგილევსკი, რომლებიც იყვნენ ლენინიზმის მტკიცე გამტარებელნი ცხოვრებაში. დანაკლისი ფრიად საგრძნობი და დიდია, მაგრამ ეს გარემოება პარტიას კიდევ უფრო შეამჭიდროებს, გააერთიანებს და განამტკიცებს. თუმცა დავკარგეთ მტკიცე და შეუპოვარი მებრძოლნი, მაგრამ ცოცხალია ილიჩის წითელი გვარდია, რომელიც ამართულ წითელ დროშას მიიყვანს კაცობრიობის საბოლოო გამარჯვებამდე—კომუნიზმამდე.

პარტკორი ჭიგა.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

სახელმწიფო უნივერსიტეტის კ. ომკავშირის უჯრედი

(მე-4-ე რაიკომის საყურადღებოდ)

ზემოხსენებულ უჯრედში დაახლოებით 200-დე წევრი და კანდიდატია. ერთ უჯრედში 200 კაცი დიდი რიცხვია. და აი სწორედ რიცხვთა ასეთი სიმრავლის გამო აქ უჯრედის წინმსვლელობის საქმე სრულიად შეფერხებულია. კერძოდ კი ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით:

1. არც ერთ კრების დროს აქ არ არის დაცული წესრიგი და ეს არც შეიძლება იყოს, 2. კრება ხშირად ერთის მაგიერ ორ თავმჯდომარეს საჭიროებს, რაიც დაუშვებელია, 3. მეტად გაძნელებულია ამხანაგებს შორის აღმზრდელობითი მუშაობა, ვინაიდან ყოველი კრების დროს ამა თუ იმ გადასაჭრელ საკითხის შესახებ მსჯელობაში მუდამ ერთი და იგივე ამხანაგები იღებენ მონაწილეობას. დანარჩენები კი, რომლებსაც მსჯელობის არა ნაკლები უნარი აჩნიათ, უბრალო მსმენელების როლს ასრულებენ. 4. ეს მდგომარეობა ძალზე ხელს უშლის [illegible] აქტივისტთა კადრის შექმნას და 5. ჰქმნის უპარტიო ამხანაგების უჯრედის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის შეუძლებლობას.

ბიურომ გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, მან საჭიროდ დაინახა ამ უჯრედის დაყოფა ფაკულტეტებთან ჩამოყალიბების მიზნით. მაგრამ ბიუროს ეს დადგენილება არ იქნა დამტკიცებული უჯრედის იმ წევრების მიერ, რომლებსაც სხვა და სხვა „სიტყვებით" და „რეჩებით" ეხალისებათ კიდეც ამ დიდ აუდიტორიის წინაშე გამოსვლა.

ამას წინად უჯრედის მორიგ კრების დროს სიტყვაც კი არ მისცეს ამ უჯრედის გაყოფის მსურველთ და უჯრედი ისევ ძველ მდგომარეობაში დარჩა.

საჭიროა ამ გარემოებას 4-ე რაიკომმა მიაქციოს სერიოზული ყურადღება, ვინაიდან ჩვენ მაზრებიდან ჩამოსული ამხანაგები სრულიად უსაქმობას განვიცდით და შრომას მიჩვეულნი სავსებით მოვდუნდით.

აპ. გაბედული.

„წარმოკავშირის" რწმუნებულთა მესამე ყრილობა

მესამე სხდომა

„წარმოკავშირის" გამგეობის საქმიანობა

(მომხსენებელი ამხ. ლადო დუმბაძე)

მომხსენებელი შესავალში ეხება იმ მიზეზებს, რომელთაც დააგვიანეს წარმოკავშირის ყრილობის მოწვევა. წარმოკავშირი, ამბობს მომხსენებელი, „წარმოკავშირის" დაარსების წლად ითვლება 1918 წელი, მაგრამ იგი, როგორც გარკვეული ორგანიზაციის და გეგმის მქონე ორგანიზაცია, არსებობას იწყებს მხოლოდ 1925 წ. პირველ ნახევრიდან.

„წარმოკავშირის" ორგანიზაციათა ზრდა.

თავის არსებობის პირველ წელს (1918 წ.) „წარმოკავშირ"-ში გაერთიანებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა რიცხვი უდრიდა 7-ს, ხოლო წევრთა რიცხვი 3000-ს. ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზების გამო „წარმოკავშირი"-ს სისტემაში მოყოლილ კოოპერატივთა რიცხვი თანდათან შემცირდა და 1923 წელს 7 კოოპერატ. ორგან. ნაცვლად წარმოკავშირი აერთიანებ, მხოლოდ 4 ორგანიზაციის 2900 წევრით. 1923 წლიდან, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა „წარმოკავშირი"-ს უფლებრივი მდგომარეობა და შეიქმნა სათანადო აპარატი, „წარმოკავშირი"-ს სისტემა თანდათან ფართოვდება და მტკიცდება.

მაგ. 1924 წლის პირველი იანვრისთვის „წარმოკავშირ"-ში შემავალ კოოპერატ. ორგანიზაციათა რიცხვი იყო 25, ხოლო წევრთა რაოდენობა უდრიდა 10.897; იმავე წლის 1 დეკემბრის—კოოპერატივთა რიცხვი ავიდა 197-დე, ხოლო წევრთა რიცხვი 23,265, 1925 წლის პირველ მარტისთვის კოოპერატივ. რიცხვი—137, წევრთა რაოდენობა—26.553. ამ ჟამად „წარმოკავშირში" გაერთიანებულია საქართველოს გლეხობის 9 პროცენტი, ალაგ-ალაგ, სადაც კოოპერატიულ მოძრაობას დიდი ხნის ისტორია აქვს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სჭარბობს მრავლესი კულტურა, წარმოკავშირი აერთიანებს გლეხთა 15 პროცენტს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში 40 პროცენტსაც.

წარმოკავშირის სისტემაში გაერთიანებულ კოოპერატივთა შორის თავისი სიდიდით პირველი ადგილი უჭირავს მეხილეთა ამხანაგობათ და მერძევეთა არტელებს—24,4 პროცენტი, შემდეგ შერეული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა—10,4 პროც. ამას მოსდევს მეღვინეთა ორგანიზაციები—12,3 პროც და სხვ.

საკუთარი თანხები

გამგეობას არ აქვს სრული ცნობები წარმოკავშირში შემავალ ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციათა ფინანსიურ სალსარის შესახებ, რადგან 1925 წლის 1 იანვრისათვის გამოკვლეული იქნა მხოლოდ 47 კოოპერატივი, რომელთაც ერთად ჰქონდათ სულ 271.828 მანეთი საკუთარი თანხა, ე. ი. თვითეულ კოოპერატივზე მოდის 5.783 მ. საკუთარი თანხა.

ამ საერთო ჯამში არ შედის სამი ცენტრი კოოპერატივის („მწყემსის", „ბირლიკი"-ს, და „კავშირთა კავშირის") საკუთარი თანხები.

წარმოკავშირის საქონლის ბრუნვა

წარმოკავშირის საქონლის ბრუნვა თანდათან იზრდება და უკანასკნელად ღებულობს ფართო ხასიათს. 1923 წელს ბრუნვა უდრიდა—375.268 მანეთს 1923 წლიდან 9 თვის განმავლობაში ბრუნვა გადიდდა 5,5-ჯერ. გაიზარდა აგრეთვე ქვედა კოოპერატივთა საქონლის ბრუნვაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელ სისტემის საქონლის საერთო ბრუნვა 1924 წლისთვის დებეტის მიხედვით შეადგენს—5.632.875 მან., ხოლო კრედიტის მიხედვით—5.147,750 მან. აქედან თვითეულ კოოპერატივის საქონლის ბრუნვაზე მოდის 45.063 მან., ხოლო კოოპერატივის თვითეულ წევრზე—147 მან.

საინსტრუქტორო დახმარება

წარმოკავშირის საინსტრუქტორო მუშაობა გამოიხატა უმთავრესად გლეხებისათვის დახმარების გაწევაში სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა მოწყობის დროს. ამ მიზნით სხვადასხვა რაიონებში იგზავნებოდენ ინსტრუქტორები, რომელნიც იწვევდენ ყრილობებს, სადაც კითხულობდენ მოხსენებებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. სათანადო ყურადღება ექცეოდა აგრეთვე კოოპერატიულ განათლებას და გამომცემლობას.

სამეურნეო მუშაობა

წარმოკავშირის სამეურნეო მუშაობა გამოიხატა.

მეტად მძიმე პირობებში 1924 წელს დაამზადა 40 ათასი ფუთი მატყლი 190 ათასი ფუთი ხილი, 100 ათასი ვედრო ღვინო, 15,183 ფუთი თამბაქო, 9 ვაგონი კვერცხი. ამავე წლის პირველ ნახევარში დამზადდა და დამუშავდა 700.000 გრადუსი არაყი წარმოკავშირი ეწევა აგრეთვე ნედლი მასალის გადამუშავებას: ბამბისა—ბოჭკად, არაყის—სპირტად, ამზადებს ძეხვებს, საჭურჭლე კასრებს ამ ჟამად უკვე სწარმოებს 70.000 ფუთი მატყლის, 100 ათასი ვედრო ღვინოს, 2 მილიონი გრად. არაყის დამზადება.

წარმოკავშირს თავის საქონლის გასასყიდლად აქვს 4 პუნქტი, რომელთა საშუალებით 3 თვის განმავლობაში გაასაღა 29.089 მან. ხორცი, 1029 მან. კვერცხი, პური, ნანადირევი და სხვა. 1924 წ. 1 ოქტომბრიდან გამსაღებელ პუნქტებს გაუსაღებიათ სულ 214.217 მანეთი სასოფლო-მეურნეობის პროდუქტები წარმოკავშირი აწვდიდა აგრეთვე თავის ორგანოებს სასოფლო-სამეურნეო იარაღების და პირველი მოხმარების საგნებს. 1924 წ. 1 ოქტომბრამდე კოოპერატივების საშუალებით გლეხებს „წარმოკავშირიდან" მიუღიათ 59 ათასი ფუთი შაბიამანი, 15 ათასი ფუთი გოგირდი 150 ცალი ვერმორელს სარწყავი აპარატი, 400 ცალი სახნისი, 40 ათასი ფუთი ქვაგრილი, 7 ათასი ფუთი ბამბის თესლი, 25 ათასი ცალი ყუთი, 300 ათასი ფუთი მანუფაქტურა და 24 წ. ოქტომბრიდან ა | წ. 1 მარტამდე შეძენილია გლეხობისათვის დასარიგებლად კიდევ 294.807 მან. საქონელი: რკინა, სეპარატორები, შესახვევი ქაღალდი, ტომრები, მანუფაქტურა, სამაზარო მაუდი და სხვ. შეძენილია აგრეთვე 17.617 მან სასოფლო-სამეურნეო იარაღები

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე კოოპერატიულ დაზღვევას. დაზღვევა ვრცელდება კოოპერატივების წევრთა საერთო რაოდენობის 50—60 პროცენტზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 80 პროცენტზედაც.

შემდეგ მოხსენებელი ეხება წარმოკავშირის აგრო-კულტურულ მუშაობას და ფინანსიურ მდგომარეობას. დასასრულ მომხსენებელი გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ რწმუნებულთა ყრილობა სალი კრიტიკის თვალსაზრისით შეაფასებს რა წარმოკავშირის გამგეობის საქმიანობას, აღნიშნავს შემჩნეულ დეფექტებს და ამით გაუადვილებს საქმიან მუშაობას წარმოკავშირის ახალ გამგეობას.

მეოთხე სხდომა

30 მარტის საღამოს სხდომაზე (მეოთხე სხდომაზე) იმავე მოხსენებას რუსულად სთარგმნის თვით მომხსენებელი ამხ. ლადო დუმბაძე, რის შემდეგაც მას აძლევენ შეკითხვებს. შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, მორიგ მოხსენებას „წარმოკავშირის" ფინანსიური მდგომარეობის შესახებ აკეთებს ამხ. აბაშიძე.

„წარმოკავშირის" ფინანსიური მდგომარეობა

წარმოკავშირის ფინანსიური მდგომარეობა 1923 წ. დასაწყისში მეტად უნუგეშო იყო. მისი ბალანსი შეადგენდა 3.281 მან. და საკუთარი თანხები 404 მან.

ფინანსიური მდგომარეობის გამოკეთებას ხელი შეუწყო 1923 წელში დაწყებულმა სამეურნეო საქმიანობამ და დადებულმა ხელ ეკრულებებმა, რომლის ანგარიშში მივიღეთ ავანსები 600.000 მანეთამდე.

დაწყებულმა ოპერაციებმა და სამეურნეო საქმიანობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებამ წარმოკავშირს გაუხსნა ნდობა ბანკებში, რომლებმაც კრედიტები გაუხსნეს.

ამისდამიხედვით დაიწყო ზრდა წარმოკავშირის ფინანსიური ოპერაციებისა, რაც ბალანსების ზრდის ცხრილიდან სჩანს. 1923 წ. მისი ბალანსი 844.556 მან. გაიზარდა, ხოლო 1924 წლის 9 თვეში 2.043.242 მანეთამდე.

საკუთარი თანხების ზრდა.

წარმოკავშირის უმთავრესი ყურადღება საკუთარი თანხების (საპაიო და ძირითადი) გაძლიერებისაკენ იყო მიქცეული.

ორგანიზაციების გამრავლების, სამეურნეო საქმიანობის და წარმოკავშირის საბჭოს ახალი საპაიო განაკვეთის დაწესების შემდეგ დაიწყო ზრდა წარმოკავშირის საპაიო ძირითადი თანხებისა. ამას ხელი შეუწყო საბჭოს 1924 წ. აგვისტოს სესიის მიერ დაწესებულმა ერთდროულმა გადასახადებმაც.

საპაიო თანხა 1924 წ. 1 იანვრიდან 4.968 მან. 1 ოქტომბრისათვის გაიზარდა 74.479 მან. სხვა საკუთარი თანხები კი 462 მანეთიდან 24.641 მანეთამდე.

სულ საკუთარი თანხები 1 ოქტომბრისათვის უდრის 99.120 მან.

ბალანსთან შედარებით საკუთარი თანხები შეადგენენ 4,7 პროც.

სხვისი თანხები.

საკუთარი და საბრუნავი თანხების სიმცირის გამო წარმოკავშირს უმთავრესად სხვისი თანხებით უხდებოდა სარგებლობა: ბანკების მოკლევადიანი კრედიტები, ავანსები სხვადასხვა დაწესებულებებისა დამზადების ანგარიშში და სხვ.

სხვისი თანხები 1923 წელში 1729 მან. 1924 წ. 1 იანვრისათვის გაიზარდა 883.918 მან. ხოლო 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის 1.934.596 მან.

მიღებული თანხები ჩადებულია თითქმის მთლიანად. გადაცემული აქვთ მოკავშირე ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დამზადების ანგარიშში, მაგ.:

მატყლის ოპერაციებ.	305,000 მ.
ღვინის	420,000 „
ბამბის	193,000 „
ხილის	122,000 „
თამბაქოს	85,000 „
და სხვა ოპერაციებში	97,000 „

სულ ორგანიზაციებზე ირიცხება 1 ოქტომ. 1.213.000 მ. აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა დავალიანება დიდი სისწრაფით იზრდება. მაგ. 1924 წელს 1 იანვრისათვის მათი დავალიანება უდრიდა 337.000 მ., ხოლო 1 ოქტომბრ. . . . 1,213,000 მ.

მიღებული თანხები გარდა მოკავშირეთა ორგანიზაციების ოპერაციებისა ჩადებულია:

აქციებში (ბანკების) .	22.000 მ.
ქონებაში . .	107.000 „
საქონელში (დამზადებ.)	365.000 „
განყოფილებები და სხ.	75.000 „

ზედნადები ხარჯები.

1923 წელში წარმოკავშირის აპარატის შენახვა დაჯდა . 55.088 მ.

აქედან პირადი შემადგენლობა . . . 20.726 მ.

აქედან ბანკის პროცენტები, სადგრბო გად. . 20.127 მ.

დანარჩენი ბინაზე, დღიურებზე და სხვ. . 14.235 მ.

ამნაირათ ყველაზე დიდი ხარჯები მოდის პირადი შემადგენლობის შენახვაზე და ბანკის პროცენტებზე.

1924 წელში აპარატის შენახვა დაჯდა . . 274.006 მ.

აქედან პირადი შემადგენლობა . . . 75.710 მ.

აქედან ბანკის პროცენტები . . . 82.078 მ.

აქ დან დღიურები და საგზაო . . . . 16.443 მ.

აქედან დამზღვევი სალარო და ადგილკომი 11.353 მ.

დანარჩენი ბინაზე, სამყოფები და სხვ . . . . 88.422 მ.

საქონლის ბრუნვასთან შედარებით საერთო ხარჯები შეადგენდნენ:

1923 წელში . . 14,66 პროც.
1924 წელში . . 13,7 პროც.

ხოლო პირადი შემადგენლობის შენახვა

1923 წელში . . . 5,52 პროც
1924 წელში . . . 3,75 პროც.

ე. ი. როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში დაიკლო.

1923 წ. საოპერაციო წელი დათავდა უმოგებოთ და უზარალოთ, ხოლო 1924 წელმა მოგვცა 6.018 მან. მოგება.

საიურისკონსულტო ნაწილი.

წარმოკავშირის და მოკავშირე ორგანოების საიურისკონსულტო საქმეების ერთ ცენტრში გასაერთიანებლათ და ხარჯების შესამცირებლათ ამხანაგობებთან შეთანხმებით 1923 წ. ოქტომბერში მოეწყო გაერთიანებული საიურისკონსულტო აპარატი, რომელიც ემსახურება, როგორც წარმოკავშირს, ისე მოკავშირე ორგანიზაციებს.

საიურისკონსულტო ნაწილი აძლევს დასკვნებს იურიდიულ საკითხებზე, ადგენს ხელშეკრულებებს და უმთავრესათ აწარმოებს საქმეებს სასამართლოში.

იურისკონსულტი დაესწრო სასამართლოს სხდომებს 120 ჯერ, ჰქონდა 90 საქმე, აქედან წარმოკავშირის 6, კახეთის—14, ბირლიკის—45, მწყემსის—18, ქართლის—3, წინანდალის—2, ურონის--1, კავშირთ-კავშირის—3, უმეტესი ნაწილი საქმეებისა ორგანიზაციების სასარგებლოთ დათავდა, ნაწილი წარმოებაშია.

ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენებით სრულდება ყრილობის მეოთხე სხდომა.

მესამე დღის დილის სხდომაზე წაკითხულ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლის ანგარიშს მოვიყვან ხვალის ნომერში.

გუშინდელ ანგარიშში საპატიო პრეზიდიუმის სიაში შემთხვევით გამორჩენილია ამხ. ფ. მახარაძე.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში განათლების მუშაკთა მეოთხე ყრილობის საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობა შემთხვევით სრულად არ ყოფილა მოყვანილი.

საქართველოს განათლების მუშაკთა საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ.:

კანდელაკი დავით, ქართველიშვილი, კრუპსკაია, ყურულაშვილი, ლუნაჩარსკი, მახარაძე ფილიპე, ოკუჯავა მიხეილ, თრახელაშვილი მაია, ორჯონიკიძე სერგო, ცხაკაია მიხა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

სახელმწ. და სამეურნეო დაწესებულებების პირად შემადგენლობის გადამსინჯავ კომისიის მუშაობა

საქ. ცენტრ. საკ. კომისიის პრეზიდიუმის და მ | გ. ინსპექციის კოლეგიის დადგენილებით საჭიროდ იქნა ცნობილი სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა პირად შემადგენლობის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ სახელმწიფო აპარატი განთავისუფლებულ იქმნას დაუყოვნებლივ ყოვლად მავნე, ბოროტ და საქმისათვის უვარგის ელემენტებისაგან. ამ მიზნისათვის მ | გ. ინსპექციასთან დაარსებული იყო ცენტრალური გადამსინჯავი კომისია, რომლის მუშაობა უმთავრეს თავის ნაწილში ამ ჟამად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

ქვემოდ მოყვანილი ციფრები მოკლეა, მაგრამ საკმაოდ ახასიათებენ კომისიის მოქმედების შედეგებს:

გადასინჯულ იქნა თანამშრომელი:

ქ. თბილისში—1408; მაზრებში—4332; სულ 5740.

ამ რიცხვიდან დათხოვნილია:

ა) სოც.-პოლიტ. ნიადაგზე ქ. თბილისში—15, მაზრებში—55, სულ—70.

ბ) თანამდებობასთან შეუფარდებლობის გამო (საქმიანობის თვალსაზრისით) ქ. თბილისში—25, მაზრებში—82; სულ—107.

გ) ბოროტმოქმ. და სხვა დანაშაულობის გამო ქ. თბილისში 3, მაზრებში 68, სულ 71.

ამგვარად საერთოდ დათხოვნილია ქ. თბილისში—43, მაზრებში—205—სულ—248.

დათხოვნილთა საერთო რიცხვი შეადგენს გადასინჯულ თანამშრომელთა რაოდენობის 4,3 პროცენტს; გარდა ამისა დატოვებულია პირობით:

ა) ადმინისტრაც. განკარგულებისა და პასუხისმგებლობის ქვეშ: ქ. თბილისში—9, მაზრებში—72, სულ—81.

ბ) გაფრთხილებით: ქ. თბილისში—19, მაზრებში—51, სულ—70.

გ) თანამდებობის შეცვლით: ქალ. თბილისში—23, მაზრებში 61, სულ—84.

დ) დროებით, შტატების შემცირებამდე: ქ. თბილისში 33, მაზრებში—30, სულ 63.

ამგვარად პირობით დატოვებულთა საერთო რიცხვი უდრის 298, რაც შეადგენს გადასინჯულ თანამშრომელთა რაოდენობის 5,1 პროც.

მაშასადამე გადასინჯულ თანამშრომელთა საერთო რიცხვიდან დატოვებულია უცვლელად ყველა პირობების გარეშე 90.6 პროცენტით.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ კომისიის მიერ გადასინჯულ იქნა აგრეთვე ს. მ. ჟ. ს. 13 ტრესტი და განყოფილება; ცნობები ამ უკანასკნელთა შესახებ ზემოდ მოყვანილ აღრიცხვაში არ არის მოთავსებული მასალების საბოლოოდ დაუმუშავებლობის გამო.

ასეთია მოკლედ შედეგი იმ მუშაობისა, რომელიც გაწეულ იქმნა აქამდის კომისიის მიერ.

ამ ჟამად ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და საქ. მ | გ. ინსპექციის კოლეგიის დადგენილების თანახმად ც. გ. კომსია გაუქმებულია. შემდეგში სახალხო და სამეურნეო დაწესებულებათა პირად შემადგენლობის შერჩევის და რაციონალურად გამოყენების საკითხი დაკავშირებული იქნება იმ საგეგმო გამოკვლევებთან, რომელსაც აწარმოებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

წითელ ჯვარში

საქართველოს წითელი ჯვრის მიწვევა საერთაშორისო ჰიგიენურ გამოფენაზე

წითელი ჯვრების საერთაშორისო კომიტეტის და ლიგის მიერ საქართველოს წითელი ჯვარი მიწვეულია საერთაშორისო ჰიგიენურ გამოფენაზე, რომელიც შესდგება ა | წ. 1 მაისში ვენაში (ავსტრია).

საქართველოს წითელმა ჯვარმა გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა გამოფენაზე და გადაგზავნოს იქ ექსპონატები. ამ მიზნით საექიმო სასანიტარო განყოფილებასთან შესდგა მხატვართა და არქიტექტორთა განსაკუთრებული კომისია, რომელიც ამჟამად ამზადებს საქართველოს სოფლების ჰიგიენურ-სანიტარულ მდგომარეობის გამომხატველ მასალებს: მაკეტებს (მოდელებს), კინო-სურათებს, ფოტოგრაფიებს და სქემა-დიაგრამებს, რომლებიც გაიგზავნება გამოფენაზე.

წითელი ჯვრების საკავშირო კონფერენცია.

მოკავშირე რესპუბლიკების წითელი ჯვრების კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია მოსკოვში 15 აპრილს გაერთიანებულ ორგანოს შესაქმნელად და კონსტიტუციის გამოსამუშავებლად, საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდიუმმა თავის წარმომადგენლად აირჩია პრეზიდიუმის თავმჯდომარე ექ. კიკალეიშვილი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფრენოსნობა უცხოეთში

ამერიკა დირიჟაბლებს აშენებს.

გერმანული გაზეთის „ბერლინერ ბერზენ კურიერ"-ის ცნობით, ნიუ-იორკში დაარსდა დირიჟაბლების (საჰაერო ხომალდების) საამშენებლო საზოგადოება, რომლის ძირითადი კაპიტალი უდრის 100 მილიონ მანეთს. საზოგადოებაში მონაწილეობს იღებს ნიუ-იორკის და ბოსტონის რამდენიმე დიდი ბანკი. საზოგადოება უკვე შეუდგა 20 დირიჟაბლის აგებას. თვითეული მათგანი შესძლებს 100—150 მგზავრის წაყვანას. გადაფრენას ატლანტის ოკეანეთი ლონდონამდი, გაზეთის ცნობით, თითქმის მხოლოდ ორი დღე დასჭირდება. მგზავრობა კი დაჯდება იმდენივე, რაც მოგზაურობა ოკეანეთ გემით.

ავიაცია კალიას წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფილიპინის კუნძულებზე (წყნარ ოკეანეში) კალიამ დაჰფარა შაქრის მთელი პლანტაციები და ვერავითარმა ზომებმა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში რეალური შედეგი ვერ გამოიღო. მაშინ კალიასთან ბრძოლის მიზნით განიზრახეს ჰაეროპლანით სარგებლობა. ერთი ჰაეროპლანი არკვევდა კალიით დაფარულ არეს სივრცეს, მეორე კი უშუალო ბრძოლას აწარმოებდა კალიასთან. კალიის მოსასპობათ სარგებლობდენ სპეციალური ფხვნილით. რომელსაც მფრინავთან მჯდომი სპეციალისტი განსაკუთრებული აპარატის საშუალებით ჰფანტავდა ნათესებზე. პირველათ კალიას მოსპობა მოახდინეს საღამო ხანს. დილით გამოირკვა, რომ ფხვნილმა მოსპო კალიის ნახევარი, მეორე ნაწილი კი გადარჩა. მაშინ მიმართეს მეორე საშუალებას: ფხვნილი მოაფრქვიეს იმ გზაზე, რომელიც კალიას უნდა გაევლო შედეგებიც არაჩვეულებრივი მიიღეს: განადგურდა თითქმის მთელი კალია.

ამ ცდების შემდეგ ამერიკის შაქრის ტრესტისა და მიწადმოქმედების სამინისტროს წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ავიაციით სარგებლობა კალიასთან ბრძოლის მიზნით უფრო იაფი და მიზანშეწონილია.

საფრანგეთის ავიო-მრეწველობა

საფრანგეთის საავიაციო მრეწველობა ამჟამად ყველაზე უფრო წინ დგას. საავიაციო მრეწველობის უკანასკნელ გამოფენაზე პარიზში წარმოდგენილი იყო ორმოცდათამდე ახალი კონსტრუქციის ჰაეროპლანი და 30-დე ახალი ტიპის მოტორი.

საავიაციო მრეწველობის მსოფლიო კრიზისის დროს 1923 წ., საფრანგეთმა ბაზარზე გამოიტანა 3000 ახალი ჰაეროპლანი, ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე ყველა სხვა სახელმწიფოებმა ერთად, მაგრამ შეძლო წელიწადში 15000 ჰაეროპლანი აეშენებია.

საფრანგეთში არის ჰაეროპლანების ამშენებელი 50 ფირმა, ინგლისში—18, ამერიკაში—13, გერმანიაში—13, იტალიაში—12, იაპონიაში—4—5, ჰოლანდიაში—2.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი"-ს მუშა-კორესპონდენტების საყურადღებოდ.

ვისაც სურს რადიოს-მოყვარულთა საზოგადოებაში ჩაწერა, მიმართეთ რედაქციაში ამხ. წულაძეს.

მუშების ახალი მიღწევანი წარმოების დარგში

ბოლო ხანებში ხშირად შეხვდება მკითხველი პრესაში ცნობას იმის შესახებ, რომ მუშები უნარს იჩენენ ამა თუ იმ მანქანის გამოგონების თუ უკვე გამოგონილის მექანიზმის გაუმჯობესება-განმარტივებაში. ეს გარემოება ადვილად ასახსნელია ჩვენს პირობებში, როდესაც მუშას სრული თავისუფლება აქვს ცოდნის მიღებისა და თავისი ნიჭის განვითარება-გაფართოებისათვის.

სწორედ ასეთ ახალ გამოგონებას ჰქონდა ადგილი სულ ამ ახლო წარსულში პირველ თამბაქოს ფაბრიკაში, სადაც ადგილობრივმა მუშებმა: **სკლიარსკიმ; გულსკიმ, საბატოვმა, და ნიკოლაევამ** გამოიგონეს ახალი მანქანა, დატენილ გილზის თავების გადასაკეცად. პირველად ფაბრიკაში ამ საქმეს ხელით ეწეოდენ, რაც ერთი, რომ ჰიგიენის თვალსაზრისით დაუშვებელია და მეორეც მოითხოვდა, როგორც მეტ მუშა ხელს, ისე დიდ დროს.

სწორედ ამ გარემოებებმა ჩააფიქრეს ალბათ ამხ. **სკლიარსკი**, რომელმაც **პირველად** გამოიგონა ზემოდ აღნიშნული მანქანა და მოაწყო კიდეც, რომელიც მექანიზმის საშუალებით უკეცავს თავებს თამბაქოთი დატენილ გილზებს ისეთსავე სისწრაფით როგორც დასატენი მანქანა. შემდეგ, ეს მანქანა თან და თან გააუმჯობესეს ეხლა მუშებმაც.

იგივე მანქანა ამხ. სკლიარსკიმ და გულსკიმ გადააკეთეს ისე, რომ იგი ერთად უხვევს თავებს ორას პაპიროსს და მერმისათვის ჰსურთ კიდევ უფრო გაადიდონ ამგვარად პაპიროსის თავების ჩაკეცის რაოდენობა.

ამის შემდეგ ამხ. ამხ. **საბატოვმა და ნიკოლაევამაც** მოაწყვეს ისეთი მანქანები, რომლებიც შეუერთეს გილზის—თამბაქოთი დასატენ მანქანას, რამაც კიდევ უფრო გაადვილა და გაამარტივა საქმე იმ მხრივ, რომ მუშას აღარ სჭირდება გადაიტანოს პაპიროსი ერთი მანქანიდან მეორეში, არამედ ერთსა და იმავე დროს, ადგილიდან დაუძრველად გილზი კიდეც იტენება თამბაქოთი და თავიც ეკეცება.

ამ ახალმა გამოგონებებმა თავისი ნაყოფი უკვე მოიტანა: მან შეამცირა სამუშაო დრო, შეამცირა მუშა-ხელი, (თუ ადრე ამ საქმეზე მუშაობდა 7 კაცი, ეხლა ორივე მანქანას დასატენს და თავების ჩასაკეცა სჭირდება ერთი-ორი კაცი. დანარჩენები გადაყვანილ იქნენ სხვა სამუშაოზე) ასწია შრომის ნაყოფიერება და მოახდინა ეკონომიურობა ფაბრიკის შენობის მოედნისა, ვინაიდან ეს მანქანები იკავებენ ძალიან მცირე ადგილს.

სხვათა შორის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მანქანები პირველია მთელს საბჭოთა რესპუბლიკებში და ერთად-ერთი საქართველოს პირველ სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკაში.

კომისიამ, რომელმაც დაათვალიერა ეს ახალი აღმოჩენა მუშათა ნიჭისა—მოიწონა და დიდი მადლობა გამოუცხადა გამომგონთ, მაგრამ მათ ვერ გადასწყვიტეს თუ ვის მისცენ მანდატი „გამომგონის." აქ ჩვენი აზრი ასეთი იქნება, რომ მანდატი უნდა მიეცეს ამხ. **სკლიარსკის, როგორც პირველ აღმომჩენს მანქანისას.**

ინფ. ტონკა.

უბრალოდ მტანჯავს

(პროკურატურის და დამზღვევ სალაროს საყურადღებოდ)

მე ვცხოვრობ სოფ. კაკაბეთში (სიღნაღის მაზრა). ვარ ღარიბი მიწის მუშა; რადგანაც ადგილობრივი მეურნეობა ვერ გვაკმაყოფილებს მთელ ოჯახს, მე ამის გარდა ვმუშაობ ჩემი შრომით და ოფლით სახლში დალაქად; მე მყავს ერთი მცირეწლოვანი შეგირდი

ადგილობრივ ინსპექტორის მიერ იქნა მოწერილი ამ შეგირდზედ დამზღვევი კასის ერთდროული გადასახადი მთელ 24 წლისა. მე ეს გადასახადი—**14 მან. და 50 კაპ.** რაოდენობით შევიტანე სადაც საჭირო იყო. ამით ვერ დაკმაყოფილდა ადგილობრივ გადასახადის ამკრეფი აგენტი **რომანოზ გ. ჩიტაშვილი** და ხელმეორედ მთხოვს ამ გადასახადს. ამ აგენტის მიერ რამდენჯერმე ვიყავი დამწყვდეული და დაჭერილი და კიდევ მემუქრება დაჭერით, თუ არ შევიტან ხელმეორედ. ჩემი სიღარიბის გამო მას მივმართე თხოვნით, რომ გამოძიება ეწარმოებინა. მან ეს თხოვნა არ მიიღო. ვარ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი. ვის მივმართო და როგორ მოვიქცე არ ვიცი. ნუთუ მას უფლება აქვს საბჭოთა ხელისუფლებაში საქმის გამოურკვევლად საწყალი გლეხის დაჩაგვრა და დამწყვდევა.

გლეხი **არტემ დურგლიშვილი.**

რაშია საქმე?

(გამოჩინებულის თემის აღმასკომის საყურადღებოდ)

გამოჩინებულის თემს საჯევახოში აქვს საბჭოთა აფთიაქი. როგორც ვიცით, საბჭოთა აფთიაქიდან მოწაფეები სარგებლობენ უფასო წამლებით, მაგრამ ეს საჯევახოს აფთიაქი ჩამორჩენილია ამ წესს და მისგან ვერც ბიულეტენით და ვერც ვერავითარ მოწმობით წამლებით მოწაფეები ვერ სარგებლობენ. ამისათვის ვსთხოვთ ადგილობრივ აღმასკომს გვაცნობოს, რაშია საქმე? ამასთან ერთად გვიკვირს, სანიტარული კომისია რად არ აქცევს ყურადღებას სად. საჯევახოში სისუფთავის დაცვის საქმეს.

შ. ტურფაგორელი.

„აპეკუნიც" ასეთი უნდა

მოქ. **ანტონ კარტოზიას**, რომელიც გარდაიცვალა 1918 წ., დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი; ობლის მეურვედ იყო მისი ძმა, მაგრამ მას შეძლება არ ჰქონდა ეპატრონებია ობლისათვის და დარჩენილ ქონებისათვის, როგორც ხანში შესულ და წვრილ ცოლშვილიანს. ამ დროს შეძვრა მელიასავით ამ საქმეში **თედორე ინჯგია**, რომელმაც იდო თავის თავზე როგორც ობლის აღზრდა, ისე ქონების მოვლა. მაგრამ მას ობლის აღზრდაზე სად ეცალა, მას აინტერესებდა მხოლოდ ქონება მისი, რაც შეიძლება მეტი ესარგებლებია და გაეფლანგა იგი, რაც სისრულეში მოიყვანა. ობოლი კი სწავლის და მოვლის მაგიერად რამოდენიმე ხნის შემდეგ ქუჩაში გააგდო მშიერ-მწყურვალე და გახადა ქუჩის მაწანწალად. ბოლოს ბავშვი დააპატიმრებია.

ასეთი პირი თავისუფლად დათარეშობს და პასუხის მომთხოვი არავინ არ აღმოჩნდა.

ინფ. **სევდ. გამვლელი.**

მოგვაქციეთ ყურადღება

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოდ)

ალექსანდროვის ქუჩაზე სახლი № 28-ში სცხოვრობს მოხუცებული ქვრივი **შუშანა პეტროსოვი**, რომელიც განიცდის უკიდურეს გაჭირვებას, როგორც ეკონომიური მხრით, ისე ოთახის სივიწროვით. მას ჰყავს ქალიშვილი სულით ავადმყოფი, რომელიც ეზოში ბავშვებს სცემდა და გავლის საშუალებასაც არ აძლევდა. ამის გამო დედამისი ხშირად მიმართავდა სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს გამგეს ექიმ ასათიანს, რომ ავადმყოფი მოეთავსებინა საავადმყოფოში, მაგრამ ექიმი ასათიანი ყოველთვის უარით ისტუმრებდა. უკანასკნელად პარტიულმა ამხანაგებმა, რომლებიც ამ სახლში ვსცხოვრობთ, მივმართეთ ამხ. ვაჭაძეს, რომლის დახმარებით მოვათავსეთ ავადმყოფი საავადმყოფოში. მაგრამ ვაი ასეთ მოთავსებას! გავიდა რამოდენიმე თვე და ექიმი ასათიანი დედამისს ყოველდღე აძლევდა წინადადებას, რომ წაეყვანა ავადმყოფი; დედას კი არ გააჩნდა არც ოთახი და არც საჭმელ-სასმელი, რის გამო ისედაც გაჭირვებული მთელი დღე და ღამე ტირილში იყო. ასეთი აუტანელი მდგომარეობის გამო, მდგმურების სახელით მივმართე მოქ. ასათიანს და აუხსენი მდგომარეობა, მაგრამ ხსენებულმა ექიმმა უარით გამომისტუმრა. დაბოლოს ვსთხოვე, რომ სურამში გადაეყვანა ანდა ვინმე ისეთი გამოეყვანა, რომლის არც მორჩენა შეიძლება და პატრონიც შეძლებული ჰყავს—ცხადია ასეთ თხოვნასაც არ მიაქცია მან ყურადღება.

საჭიროა, **ჯანმრთელობის კომისარიატმა** ამ განსაკუთრებულ მდგომარეობას მიაქციოს ყურადღება და გასცეს განკარგულება, რომ ავადმყოფი, **მარგო პეტროსოვისა** დასტოვოს საავადმყოფოში ანდა გადაგზავნონ სურამში.

ჩვენის **აზრით მოქ. ასათიანის** მოქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულად.

ინფ. **ელიზბარ.**

უნდა მიხედოთ ამ მუშებსაც

(თვითმშრომელთა კავშირის საყურადღებოდ)

ყველამ კარგათ ვიცით, რომ თვითმშრომელთა კავშირი მძლავრია თავის წევრთა რაოდენობით. ამ კავშირის წევრად ითვლება ყოველი წვრიმალი ხელოსანი: მეპურე, მეწაღე, ხარაზი, მექუდე და სხვა მრავალი. ამ კავშირის წევრების მეტი ნაწილი ჩამორჩენილია პოლიტიკურ ცოდნა-შეგნებას. ამ მხრივ დიდი საქმე აქვს თვითმშრომელთა კავშირს გასაკეთებელი, და უნდა გააკეთოს კიდევაც. აღნიშნული კავშირი მოვალე არის თბილისი გაჰყოს რაიონებად, და გახსნას პოლიტიკური კურსები მათთვის, სადაც სავალდებულო უნდა გახადოს კავშირის წევრების სიარული პოლიტიკურ მეცადინეობისათვის. ესენი ოდესმე მშვენივრად ჩაცმულები ერთ კვირა დღეს არ აკლდებოდენ წირვებს.

აი დღეს იმდენი უნდა ეცადოს კავშირმა, რომ შეიტანოს თავის წევრებში შეგნება, და შეუცვალოს ეკლესია წითელი კლუბებით.

მუშკორი ილარიონ კაციტაძე.

პასუხი მუშკორ კალამს

„კომუნისტის" № 68-ში არის მოთავსებული პატარა წერილი სათაურით „მოსთხოვეთ პასუხი", რომელიც შეეხება ჩვენ, ნიკო და სანდრო სულხანიშვილებს.

მართალია, ოსიპოვის შეს. № 11 ჩვენ გვაქვს სახლი, რომელიც გვეკუთვნის არა მარტო ჩვენ, არამედ ექვს ძმას, რომელნიც ფაქტიურად სარგებლობენ ბინებით. ფიცრის ღობე, რომელიც დაინგრა და რომლის ნაწილი გაიტაცეს მე იძულებული გავხდი ამელაგებინა და შემენახა, ვინაიდან იმასაც მოელოდა გატაცება. ნუ თუ მე, როგორც მუშას, შემიძლია ჩემი ჯამაგირით ეზოს ღობე შემოვარტყა, თუ სხვა მონაწილეები არ მომცემენ დახმარებას? მე სრულებით გულწრფელათ უნდა ვთქვა, რომ მე ჩემი ჯამაგირით ღობის შემორტყმას ვერ შევსძლებ.

მუშა **ნიკოლოზ სულხანიშვილი.**

რკინისგზის პროფკავშირებში

საკომპენსაციოთ ა. | ქ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაადგინა, სამოსწავლო მატარებლების მოხსნის გამო მიეცეთ მოწაფეებს საკომპენსაციო **ფული.** ერთ მოწაფეს (ოჯახში)—12 მანეთი, ორს ერთი ოჯახიდან—**24 მანეთი**, სამს ერთი ოჯახიდან—**30 მან. და 4-ს 36 მანეთი.**

120 მუშისათვის ა. | ქ. რკინისგზელთა პროფკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას თბილისის ქალაქის აღმასკომთან, რათა 120 მუშას დაეთმოთ 50 პროცენტის დაკლებით ტრამვაის ბილეთები.

თვეში ორჯერ სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა მიმართა ა. | ქ. რკინისგზელთა პროფკავშირს შუამდგომლობისათვის, რათა რკინისგზელება დართონ ნება თვეში ორჯერ სასურსათო ბილეთებით სარგებლობისა.

მოხსენებები ა. | ქ. რკინისგზელთა პროფკავშირთან მოეწყობა რკ. გზ. სამმართველოს ყველა სამსახურების მოხსენებები.

ხარჯთაღრიცხვა. ა. | ქ. რკ. გზ. სამმართველომ დაამტკიცა სასკოლო სანიტარული ექიმების საერთო ხარჯთაღრიცხვა **18 ათასი მანეთის რაოდენობით.**

საბინაო კოოპერაციისათვის. ა. | ქ. რკ. გზ. პროფკავშირი იმუშავებს კოოპერატივის დამხმარე კომიტეტის მომავალ სამუშაო გეგმას.

ქრონიკა

— **საექიმო დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა სამხედრო მოსამსახური, რომელიც საჭიროებს [illegible] აქიმობას, გატარებული უნდა იქნას დამზღვევ ორგანოს საკონტროლო-საექიმო კომისიაში.

— **დასაზღვევი წიგნაკების აღრიცხვა.** დამზღვევმა კასამ დაადგინა მოახდინოს ხელ-ახალი აღრიცხვა დასაზღვევი წიგნაკების.

— **ჯანმრთელობის დასაცავათ** მთავრობამ ახალ-ქალაქის აღმასკომს გადასცა 9,000 მან.

— **აფთიაქების გამოკვლევა.** ჯანსახკომის საფარმაცევტო განყოფილებამ დაადგინა მოახდინოს პროვინციებში არსებულ აფთიაქების მდგომარეობისა და მუშაობის გამოკვლევა.

— **საბავშვო სანატორიუმი.** თბ. აღმასკომის განყოფილებამ დაამთავრა მანგლისში საბავშვო სანატორიუმის მოწყობა, 35 საწოლით.

— **უმუშევარ მოზარდთა სახლის** მოსაწყობათ შრომის კომისარიატმა შრომის დაცვის განყოფილების დადგენილების თანახმად გადასცა 10.000 მანეთი.

— **ხელოვნების მუშაკთა** საშუამავლო ბიურო შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით დაარსდება ამ დღეებში შრომის ბირჟასთან.

— **ხანძარის წინააღმდეგ.** თბ. ცეცხლისმქრობელ რაზმისთვის თბ. აღმასკომმა ლენინგრადში შეიძინა 15 ათასი მანეთის სხვადასხვა ხელსაწყო.

— **ჯიშიან ცხენების მოშენება.** 20 აპრილიდან საქართველოს 19 სხვადასხვა ადგილას გაიხსნება ცხენთა საგრილებელი პუნქტი.

— **ტყის დაცვა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, ტყის დაცვის მიზნით გადიდებული იქნას ტყის მცველთა რიცხვი 160 კაცით. (ამჟამად არის 370 მცველი).

— **გლეხთა ცენტრალურ სახლის** საზეიმო გახსნა მოხდება 5 აპრილს.

— **სესხი პროვინციის დაწესებულებათ.** შინ. საქ. სახ. კომისარიატმა დაუგზავნა მაზრებს ცირკულიარი, რათა ყველა თემსაბჭოებმა მიაწოდონ ცნობები „ა | ქ. კრედიტ-ბიუროს" იმ დაწესებულებათა სესხის გადახდის უნარიანობის შესახებ, რომელთაც სურთ სესხის მიღება.

— **მატყლის დამზადება.** მიმდინარე წელში წარმოკავშირს განზრახული აქვს დაამზადოს 70 ათასი ფუთი მატყლი.

— **შვეიცარიის ყველი.** წარმოკავშირში გაერთიანებულ მერძევეთა არტელების საშუალებით წარმოკავშირს განზრახული აქვს წელს დაამზადოს 10 ათასი ფუთი შვეიცარული ყველი.

— **მებამბეობა.** ბამბის მთესველ ორგანიზაციების საშუალებით 1925 წელში წარმოკავშირი დაამუშავებს 6 400 დესეტინა მიწას.

— **ქარხნის მოწყობა.** წარმოკავშირს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელში აგოს თამბაქოს ქარხანა.

— **ხუთშაბათს, 2 აპრილს,** საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება მორიგი კრება ქართველ ექიმთა საზოგადოებისა. 1. მ. ფარცვანიძე,—კოლოების დასნებოვანება სამეგრელოში, 2. პროფ. ს. ვირსალაძე,—თანამედროვე მეცნიერული მიმართულება გერმანიაში: 1) შთამომავლობითი და კონსტიტუციონალური მიდრეკილება ავადმყოფისადმი, 2) პროგრესიულ და ტაბო-პარალიზების ინფექციური მკურნალობა.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო „გლეხის ბიბლიოთეკის" შემდეგი წიგნები: ნიკო მაისურიანი—**თამბაქოს თესვა და ნათესების მოვლა**, ანაიდა ათაბეგოვი—**რა ჯიშის ქათმები უნდა გავიჩინოთ**, მიხეილ სტაროსელსკი—**მუშა ცხენის მოვლა**, ნიკო მაისურიანი—**თამბაქოს ნერგის გამოყვანა**, მიხეილ ტიმოფეევი—**როგორი უნდა იყოს კარგი თივა**, მიხეილ სტაროსელსკი—**მუშა ცხენის ამორჩევა**, გიორგი აბესაძე—**ლობიო, მისი თესვა და მოყვანა**, მიხეილ სტაროსელსკი—**ბოსლის გამართვა**, ნიკო კანდაუროვი—**ხორბლეულის ხენთან და მავნებლებთან ბრძოლა.**

შემთხვევები

— **დაჭრა.** გუშინ დილის 6 საათზე მტკვრის ქ. № 4 გრიგორი სტოლიაროვმა დაჭრა თავისი ცოლი და შემდეგ თავისი თავი. მძიმეთ დაჭრილი სტოლიაროვი გადაგზავნილი იქნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

— **ქურდის შეპყრობა.** 30 მარტს, დილის 11 საათზე თათრის მოედანზე გაქურდული იქნა ალექსი დარახანოვი. ბოროტ-მოქმედი არტაშ ბუდაღიანი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 29 მარტს, ღამით არწრუნის ქ. № 12 გაქურდული იქნა მარიამ შავაძის ბინა საიდანაც წაღებული იქნა სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— 30 მარტს ჭავჭავაძის ქ. № 12 გაქურდული იქნა გრიგოლ შომეწვილის ბინა წაღებულია ტანსაცმელი.

— 30 მარტს დილით სირაჯის შეს. № 7 ფანჯრის მინის გატეხის საშუალებით გაქურდული იქნა ტიგრან ნიაზოვის ბინა. წაღებულია 50 მან. ნივთები.

— 29 მარტს, ღამით სალტყეო კულტურის სახლში, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მატრონა ტარჩენკოს ბინა.

— 30 მარტს, დილის 9 საათზე, ვერა ბაკუაშვილისამ მცხ. ბასეინის ქ. № 7 განაცხადა, რომ 29 მარტს ღამით გაქურდული იქნა მისი სავაჭრო. კარების გატეხის საშუალებით წაღებულია სხვადასხვა ნივთები, რომლის რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ხელოვნება

ახალგაზრდა კომპოზიტორების საღამო

სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის კლასი იპოლიტოვ-ივანოვის ჩამოსვლის შემდეგ სერიოზულათ არის დაყენებული. უკანასკნელი დროის განმავლობაში ყველაზე უფრო წინ წაიწია კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვის ოთხმა მოწაფემ—ანდრია ბალანჩივაძემ, არისტოტელ გუნდოროვმა, მიხეილ ლალიანოვმა და ვლადიმერ ჩებუნენკომ. რომელთა ნაწარმოები ამ საღამოს გამოტანილი იყო საზოგადოების სამსჯავროზე.

ყველა ისინი დაშორდენ მუსიკის ძველ ფორმებს და მათ შემოქმედებაში სჩანს მისწრაფება მუსიკის ახალ მიმართულებისაკენ. ახალგაზრდა კომპოზიტორებს უეჭველათ ემჩნევათ ინდივიდუალური ნიჭი. ანდრია ბალანჩივაძე წარმოდგენილი იყო რამოდენიმე პრელიუდიით, რომელთა განყველაზე უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა იმ პრელიუდიამ, სადაც გატარებულია ბასის თემა; პრელიუდი მეტად მელოდიური და ჰარმონიულია. კარგია ნოქტიურნი, რომელიც დაწერილია ქართული სტილით და ეტიუდი.

სუსტი ნაწარმოებია ტრიო სიმებიანი ინსტრუმენტებისა და როიალისათვის, მასში არ არის ფორმა. არ არის მელოდიური პერიოდების ურთიერთობა. მელოდია მოკვეთილია და შინაარსით ვერ არის მდიდარი.

ვოკალური ნაწარმოებები განწყობილებით არის დაწერილი (სიჩუმე), მაგრამ რთული აკომპანიმენტი არ შეეფერება რომანსის სახელს.

მუსიკის სფეროში უკიდურეს მემარცხენე მიმართულებას იცავს თავის ნაწარმოებებში გუნდუროვი. მისი შემოქმედება ინდივიდუალური და დამოუკიდებელია. ნაწარმოებები დაწერილია ახალი ფორმით და რთული ჰარმონიით. სჩანს ნოვატორების—დებიუსსის და რაველის და პროკოფიევის გავლენა.

ყველაზე უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს „ზღაპარი". მელოდიურია ვოკალური ნაწარმოებებიც.

ახალგაზრდა კომპოზიტორი მიხეილ ლალიანოვი იცავს მკაფიოთ გამოხატულ ინტუიციურ მიმართულებას მუსიკაში. მის ნაწარმოებებში სჭარბობს მელოდია. კარგია ყველა პრელიუდები, ეტიუდი, ნოქტიურნი და განსაკუთრებით ბალადა, სადაც ძირეული და მელოდიური მეორე თემა პირდაპირ იპყრობს მსმენელს. სუსტია რომანსი, სადაც პრეტენზიები უფრო მეტია, ვიდრე მუსიკა.

ჩებუნენკოს ნაწარმოებები, სამწუხაროთ, ვერ მოვისმინეთ.

პ. გ.

— **„კვაჭი კვაჭანტირაძე".** რედაქციამ მიიღო მიხეილ ჯავახიშვილის შვიდკარიანი რომანი **„კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი".** (გამომცემლობა „საქ-თა კავკასიონი").

— **კინო სოფლად.** ქუთაისის მაზრის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს მოძრავი კინო ქუთაისის მაზრაში გლეხებისათვის რევოლიუციონური ხასიათის სურათების საჩვენებლად.

— **მოზჟუხინის გასტროლი.** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება ცნობილი ბასის მოზჟუხინის გასტროლი, წარმოდგენილი იქნება „ბორის გოდუნოვ".

— **„მსხვერპლი" სომხურად** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება სომხურ ენაზე ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი".

— **„ტარდ-ში"** დღეს გაიმართება მოსკოვის თავისუფალ ბალეტის „მსახიობთა პირველი გასტროლი ლუკინის ხელმძღვანელობით.

— **წითელარმიელთა და ფლოტის** სახლის სასარგებლოდ ხუთშაბათს, 2 აპრილს პატარა თეატრში გაიმართება საბალეტო წარმოდგენა.

— **ახალ თეატრში** პროგრამა № 14 და დამინსკაიას გასტროლი.

— **ცირკში** ახალი პროგრამა, ძმ. ტანტების მონაწილეობით. ფრანგული ჭიდაობა.

დღეს კინოებში

— არფასტო—„წარსულის საშინელება".
— მინიონ—„პატარა კაფე".
— თვითმფრინავი—„ცხოვრების საქანელა".
— აპოლო—„წარსულის საშინელება".
— პალასი—„სობეიდის ცოლი".
— აისი—„ვენეციის ლომები".

პროვინციაში

ასეთი აღმასკომის თავმჯდომარე რკინის ცოცხით უნდა ალაგდეს

(ქოლობნის თემი, სენაკის მაზრა)

ქოლობნის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს რაჟდენ რუხაძეს ხშირათ დაინახავთ მთვრალს.

ა/წ. 21 მარტს ავი თვალის დასანახავი არ იყო რუხაძე, წითელ „ნუნუათი" შეზარხოშებული მაუზერს უშენდა მოქალაქეებს და ემუქრებოდა განადგურებით, რამაც გამოიწვია აურ-ზაური და ალიაქოთი. ესეც არ იკმარა რუხაძემ, მოვიდა თუ არა ალ-მის სამმართველოში, უბრძანა მდივანს ამხ. ბუხუტი მიქაძეს, რათა დაუყოვნებლივ მოეხსნა თანამდებობიდან ალ-მის დარაჯი ამხ. ნიკოლ საფარ-ოღლი იმისათვის, რომ ხსენებული საფარ-ოღლიარ წავიდა რუხაძის ოჯახში სამუშაოდ. ამხ. ბ. მიქაძემ აღუთქვა, რომ შეასრულებდა რუხაძის ბრძანებას, მაგრამ არ მოუყვანია სისრულეში, ვინაიდან ამხ. მიქაძემ კარგათ იცის, თუ რა კილოთი ფახფახებდა რუხაძე და ვინ ბრძანდება ის,—ნიკოლოზის დროის დანიშნული მამასახლისი და ჯალათ კოწია ცომაიას მარჯვენა ხელი, რომელიც შიშის ზარს ჰგვრიდა მშრომელთ.

საჭიროა რუხაძის მოქმედების სასტიკი გამოძიება, რასაც მოველით სენაკის სამაღმასკომისაგან.

გლეხკორი—**ელვა.**

მცხეთის კლუბის მდგომარეობა

მცხეთაში არსებობს კლუბი, რომელიც მოუწყობელია ყოველ მხრივ. შენობა არ არის შეკეთებული და ზამთრობით წარმოდგენაზე დამსწრენი სიცივით კვდებოდენ. პარტები ან სკამები არ არის ხალხის დასასხდომათ. დეკორაციები არ გააჩნიათ. ტანისამოსს აბა იქ რა უნდა? ადგილობრივი დრამატიული წრე გულაცრუებულია თეატრალურ მუშაობაზე. ხალხიც კარგი თვალით არ უცქერის, რადგან კლუბში ძალიან უწესრიგობა ტრიალებს. ყიდიან ბილეთებს და როდესაც მოვლენ სტუმრები, მათი ადგილები უკვე დაკავებული აქვთ ღვინისაგან გალეშილ პირებს. თხოვნა მათთან არ გადის, მიმართავენ ადმინისტრაციას, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის, ისინი კვლავ განაგრძობენ იქ ჯდომას. სტუმრები და პირველი რიგის ბილეთებიანი ფეხზე დგანან. ასეთი შემთხვევა იყო, 8 მარტს ადგილობრივი სცენის მოყვარენი სდგამდენ ქალთა წრის დავალებით პიესას „ახალ ცხოვრება"-ს. ხალხი ბევრი მოაწყდა კლუბს. შეიქნა საშინელი უწესრიგობა. ამ ხალხის დაწყნარება არა გზით არ მოხერხდა. სამი მოქმედება ისე გავიდა, რომ ხალხს არაფერი გაუგია. ბოლოს ჩაეძინათ მთვრალებს და ცოტათი მიწყნარდენ. სად იყო ამ დროს კლუბის გამგეობა? რატომ შემოუშვა მთვრალები კლუბში? ამ ბოლო ხანებში დაუშირა წარმოდგენების დადგმას მცხეთაში თბილისიდან ჩამოსულ დრამატიულ წრეს. სად არის ადგილობრივი დრამატიული წრე? რატომ არ სდგამენ წარმოდგენებს? ნუ თუ საკმარისია მცხეთის საზოგადოებისათვის მარტოკა უფასო საღამოების გამართვა გ. ნ—ლის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოადგენს უშინაარსო მშრალ ცეკვა-თამაშს? არა. მაშ საჭიროა: 1) შენობის შეკეთება, 2) სცენის მოყვარეთა ენერგიული მუშაობა, 3) დრამატიული წრის გამგეობის ანგარიშის წარდგენა, სადაც ჯერ არს, 4) ახალ გამგეობის არჩევა და 5) აკრძალვა ღვინისაგან გალეშილ ხალხის კლუბში შესვლისა.

წყნარი.

სოფ. ორსანტია

(ზუგდიდის მაზრა)

სოფელი ორსანტია შედის კოკის თემში. სამაზრო ქალაქიდან დაშორებულია 21 ვერსით.

მეურნეობა ამ სოფელში უკანასკნელ წლებში გამოცოცხლების გზაზეა დამდგარი.

ს. ორსანტიამ და ს. ოტობაიამ (სამურზაყანოს მაზრა) აამუშავეს მდინარე ინგურზე საზოგადო ბორანი. გაკეთებული იქნა მდინარე ინგურის ტოტზე მაგარი ხის ხიდი. ადგილ-ადგილ გზებიც არის შეკეთებულ-გაფართოვებული, მაგრამ ბევრ ადგილებში ტბებია დამდგარი, რაც ძალიან ხელს უწყობს მალარიის გავრცელებას.

კოოპერაცია მუშაობს შეძლებისდაგვარად, მაგრამ ჯერ ვერ დააკმაყოფილა გლეხკაცობის მოთხოვნილება.

ამ სოფელში არსებობს პირველი დაწყებითი შრომის სკოლა.

ქოხსამკითხველოს და ჟურნალ-გაზეთებს სოფელი მოკლებულია, სათანადო შენობა არის, მხოლოდ საჭიროა ამ საქმეში ხელმძღვანელობის და დახმარების გაწევა.

ინგურელი.

პროვინციის ქრონიკა

— **პოლიტგანათლების მუშაკთა** კონფერენცია თელავში გაიხსნება 2 აპრილს.

— **კოოპერატივის გაქურდვა.** 24 მარტს სოფ. ენისელში (თელავის მაზრა) გაქურდეს კოოპერატივი. წაღებულია 1200 მანეთის საქონელი.

— **მიწად-მოწყობის** საქმე დასრულდა სიღნაღის მაზრის 28 სოფელში.

— **ალაზნის არხის** გაყვანას უკვე შეუდგენ. ეწყობა ბინები მუშებისათვის.

— **გლეხკომის დახმარება.** შორაპნის სამაზრო გლეხკომმა იანვრიდან მარტამდე დაუხარჯავა ღარიბთა დასახმარებლად 1579 მანეთი.

— **სამაგალითო თემები.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობით დუშეთის მაზრის ორს სამაგალითო თემში ბაზალეთში და ფასანაურში მოწყობილი იქნება რადიომიმღები სადგურები.

— **საკრედიტო ამხანაგობანი სოფლად.** გორის ალმასკომმა დაადგინა გახსნას სასოფ.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი სოფ. ტყვიავში და ბობნევში.

— **რაჭის ალმასკომმა** უარყო სოფ. წესის შუამდგომლობა ამბროლაურიდან წესში სამილიციო პუნქტის გადატანის შესახებ.

— **ბორჩალოს ალმასკომმა** დააკმაყოფილა მცხოვრებთა შუამდგომლობა კამარლინის თემსაბჭოს სოფ. ყარაბულახში გადატანის შესახებ.

— **დახმარება დაზარალებულ გლეხებს.** შორაპნის სამაზრო გლეხკომმა დახმარება აღმოუჩინა სააღმშენებლო მასალის უფასოდ მიწოდებით სოფ. საზანოს და საქარის ცეცხლისაგან დაზარალებულ გლეხებს.

— **ტყის მოშენების მიზნით** ყარაიაზის რაიონში 16 დესეტ. დაითესა მუხისა და აკაციის თესლები.

— **აგარაკის გაშენება.** ლაგოდეხის გლეხკომი ლაგოდეხის რაიონში აწყობს საგარაკო ადგილს.

— **ყანდაურის** (სიღნაღის მაზრა) გლეხკომმა იკისრა ადგილობრივ სკოლის შეშით და სასწავლო ნივთებით მომარაგება.

— **ციმბირის წყლული.** გორის მაზრაში, სოფ. ციხის ჯვარსა და ნარიანში ამ ჟამად მძვინვარებს ციმბირის წყლული.

— **ჭიჭინა.** ახალქალაქის 4 სოფელში გაჩნდა ჭიჭინა (საქონლის ერთგვარი სენია).

— **შინა მრეწველობა.** მცხეთაში გაიხსნა შინამრეწველობის სადგური. იქავე მოწყობილია საფეიქრო სახელოსნო.

— **ქუთაისის ალმასკომმა** წითელარმიელთა კლუბის გასახსნელად გადასდო 150 მან.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია?

კითხვა

მე ვმსახურობდი ქალ. თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში ბოროტ-მოქმედთა რეგისტრატორის თანამდებობაზე.

წარსული წლის ცხრა სექტემბრიდან ვიქენი დაპატიმრებული ა/კ საგანგებო კომისიის მიერ, რომლისაგანაც განმანთავისუფლეს 17 მარტს 1925 წ.

განთავისუფლების შემდეგ, 26 მარტს, დავბრუნდი სამსახურში და გამოვარკვიე, რომ მე ისევ სამსახურში ვირიცხებოდი.

როდესაც ადმინისტრაციას ვაცნობე პირადათ მე ჩემი დაპატიმრების შესახებ, მან იმ წამსვე დამითხოვა სამსახურიდან (დაპატიმრების დღიდანვე), შრომის ხელფასის გაცემაზედაც უარი განაცხადა.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია დამაბრუნოს სამსახურში და თუ ეს შეუძლებელია, არის თუ არა ის ვალდებული რაიმე ხელფასი მომცეს.

ყოფილი რეგისტრატორი

დომენტი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 47-ის აბზაცი „ე"-ს ადმინისტრაციას ჰქონდა უფლება დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ თქვენ მოეხსნეთ სამსახურიდან და არ არის ვალდებული სამსახურზე დაგაბრუნონ, მხოლოდ ის ვალდებულია მოგცეთ შრომის სრული ხელფასი მთელი ორი თვის განმავლობაში დაპატიმრების პირველ დღიდანვე.

ვინ უნდა მამცეს შრომის ხელფასი

კითხვა

ვმსახურობ ქ. ტბილისის ცენტროგასახლში სწავლა-აღმზრდელობითი ნაწილის გამგედ; თვიურად ჯამაგირი **აქვს [illegible] მან. 40 კაპ.** ამჟამად ვიმყოფები მუცლის ტიფით ავად. ექიმობდა რაიონის ექიმი მხოლოდ 9 დღეს, შემდეგ გამწერა საავადმყოფოში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ წავედი ამ უკანასკნელში. მარტის თვეში გადამრიცხეს დამზღვევ სალაროზე; სალარომ მხოლოდ 8 მანეთი მომცა, დანარჩენი ფული მარტის თვის ვინ უნდა მომცეს?

ავადმყოფობის გამო შვებულების დროს, სამსახურში დაბრუნებამდე ჯამაგირი ვინ უნდა მომცეს?

ს. ჭუმბურიძე.

პასუხი

ავადმყოფობის დროს (მთელი ოთხი თვის განმავლობაში)—ავადმყოფ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეს შრომის ხელფასი ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ დამზღვევ სალაროდან მისი თვიური შრომის ხელფასის საშუალო რაოდენობით. დაწესებულება ამ ხნის გამავლობაში თავისუფალია შრომის ხელფასის გაცემისაგან.

ტირაჟი—20.668

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 25

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის საქართველოში.

1925 წ. მარტის 27.

1925 წლის გაზაფხულის და შემოდგომის მატყლზე საზღვრითი ფასების და 1925 წლისათვის დასამზადებელი მატყლის კონტიგენტის დაწესების შესახებ.

თანახმად ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის ა/წ. მარტის 26-ს დადგენილებისა, № 32, ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს შემდეგი დასამზადებელი ფასები ბირჟაზე მეცხვარეთა გასასტუმრებლად ნორმალური თვისების გაურეცხავი მატყლის ერთი ფუთისათვის:

	გაზაფხ.	შემოდგ.
1) თუშური მატყლი	10.00	11.00
2) დონმა	9.50	10.45
3) ალბაბინის	9.00	9.90
4) ლეზგინის-ზაქათალის	8.00	8.80
5) შიხლინის (თარაქამა)	5.50	6.00

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ფასები წესდება ტიპიური ჯიშის ცხვრის მატყლზე. საშუალო ჯიშის ცხვრის მატყლის ფასი უნდა შეეფარდებოდეს სათანადო ტიპიური ჯიშების ცხვრის მატყლის საშუალო ფასს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 2. ნორმალური თვისების მატყლად ჩაითვლება ისეთი მატყლი, რომელსაც სხვა არაფერი ურევია—და არ არის ნესტიანი, გაყვითლებული, აშმორებული და ბირკიანი. მატყლის წმინდა გამოსავალი ცხვად გარეცხვის დროს უნდა უდრიდეს გაზაფხულის ნაპარსი მატყლისათვის—55 პროც., შემოდგომის ნაპარსი მატყლისათვის - 70 პროც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფასი იმ მატყლისა, რომელიც არ შეეფერება ზემოხსენებულ გამოსავალის ნორმასა და თვისებას, უნდა განისაზღვროს ამა დადგენილების საფუძველზე ურთიერთი შეთანხმებით.

2) დაწესებულ იქნეს შემდეგი ჩასაბარებელი ფასები დამამზადებელთა გასასტუმრებლად იმ თუშური მატყლისათვის ფრანკო-ვაგონი თბილისი,—რომელიც მარსელის ტიპის მაგვარად იქნება დახარისხებული და ჩაწყობილი ბარდანებში, გაზაფხულის ნაპარსი მატყლისათვის—15 მან., შემოდგომის ნაპარსი მატყლისათვის—16 მან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სხვა ხარისხის მატყლის ფასი შემუშავებულ უნდა იქნეს ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის კალკულიაციის მიხედვით.

3) საქართველოს ტერიტორიაზე მატყლის დამზადება დაევალოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და მათ გამაერთიანებელ კავშირს „წარმოკავშირს".

4) ა. კ. ფ ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი ალმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

5) ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

6) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **გამყრელიძე.**

სამმართველოს მდივანი **აბესაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს ახალგაზრდობის ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ დღეს 1 აპრილს, დღის სრულ 1 საათზე შესდგება საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა.

სავალდებულოა საორგანიზაციო კოლეგიის წევრთა გამოცხადება დაუგვიანებლად.

ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ აღნიშნულ სხდომაზე დღის 2 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 20).

1) თუმანიანი ვარსიკ, 2) ცანავა იულიანი, 3) ვართანოვი გრიგოლ, 4) ნებიერიძე, 5) ბაგიე ანდრია, 6) ანდრიანოვა, 7) ოსაძე, 8) რაზუვაევი, 9) კორეივო, 10) კარაპეტიანი, 11) ზარუტსკი, 12) ლომიძე თედორე, 13) ცინცაძე მიხეილ, 14) ჟუკოვი მიხეილ, 15) ბაზალაშვილი არსენ, 16) ნიკოლოვი ვლადიმერი, 17) ოგანეზოვი პეტრე, 18) კალანდაძე არიადნა, 19) ორდაშელი კალისტრატე, 20) სევასტოვი, 21) სტეფანოვი გაბრიელ, 22) კაიზერი ვსევოლოდი, 23) კოლბაია, 24) კარაგესოვი ს., 25) მამასახლისოვი, 26) კალაშნიკოვი პავლე, 27) ქილენტი ევტიხი, 28) ბერიძე პეტრე, 29) კოსტანიანი ლევ, 30) ჩიმიშკიანი ერვანდ, 31) ხაჯამიროვი არამ, 32) მნოიანი არტაშეს, 33) აეტოევი მიხეილ, 34) ტიგრანიანი ნაზიბ, 35) მუსოიანი სირანუშ, 36) ბაგიროვა მარზია, 37) სენიბრატოვა ვალენტინა, 38) ლეჟავა შალვა, 39) გრუშევა ნადეჟდა, 40) მეზვრიშვილი ალექსანდრე, 41) იაკოვლევი ანატოლი, 42) ოკოევა ეკატერინე, 43) გასპაროვი გიორგი, 44) ოგანეზოვა სათენიკ, 45) თორაძე ალვა, 46) გაგიევა მარიამ, 47) მჭედლიშვილი იოსებ, 48) ჯობრიშვილი აკაკი, 49) გოგაძე სევერიან, 50) ახპატელოვი მელია, 51) სტიხინა ალექსანდრა, 52) რუდნიკი ელენე, 53) სუმბატოვა შაენ, 54) თამაზოვი ისაკი, 55) სალტიკოვა მარიამ. 56) კონსტანტინოვა ე. 57) მისკარიანი გოარიკ, 58) თულაშვილი, 59) მურადოვა ანნა, 60) ჰირტენკოზ, 61) ტურიევა ანნა, 62) ბაგატუროვი, 63) ჯიდარიანი, 64) შმულევიჩი, 65) შარაძენიძე, 66) ლეჟავა მარიამ, 67) ჯიმშელაშვილი, 68) ცოტაძე, 69) დუმბაძე გაბრიელ, 70) მუშკინი ვენიამინ, 71) ნაცაპოვა ანნა, 72) იაროვა მარგო, 73) ბანდარენკო ვასილ, 74) გრიგოლია მიხეილ, 75) ციცაძე დიმიტრი, 76) შარამიძე ლეონტი, 77) ცქიტიშვილი იოსებ, 78) მელაშვილი გიორგი, 79) მამისაშვილი ლევან, 80) გორდელაძე შალვა, 81) მასხულია შალვა, 82) თოთიბაძე ანდრია.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **გობეჩია.**

— პარასკევს, 3 აპრილს თბილისის კომიტ. იძლევა წინადადებას.

ერთიან პარტიული დღეს.

დღის წესრიგში დასმულ უნდა იყვეს შემდეგი საკითხები:

1) კომინტერნის პარტიების ბოლშევიზაცია.

2) ერთიან პარტიულ დღის შესახებ თბილ. კომიტეტის მიერ 7 მარტს გამოცემულ ცირკულიარის № 19—განხილვა.

პირველ საკითხის შესახებ მომხსენებლებს მთავარ მასალათ შეუძლიათ გამოიყენონ თეზისების პროექტი დაბეჭდილი „პრავდაში"—22 მარტი № 66 და წერილები „პრავდაში". №№ 4, 22 და 59—1925 წლისა და № 292—1924 წლისა.

მდივანი—**ახრიბეკოვი.**

— რაიონებში პარტსკოლებისა და პოლიტსკოლების მუშაობის თვალყურის სადევნებლათ თბილისის კომიტეტი მობილიზაციას უწყრება და აწესრიგებს რაიონების მიხედვით შემდეგ ამხანაგებს:

1 რაიონი: რუხაძე ლენტორ, ჰელიძე (პროფსაბჭოს კულტგანყ.) იოვიძე (მუშფაკი), პოლიაკოვი, ვინტ-აბრამი.

2 რაიონი: ორახელაშვილი მარია, მეტრეველი (მთავლიტი), სირკინი, მხითაროვი (პროფსაბჭოთა კულტგანყ.), ჩიხლაძე.

3 რაიონი: ბუხნიკაშვილი, ვანციან არტაშეს, თუმანიანც აშოტ, აბდრახმანოვი (ა.-კ. საოლქ. კომიტ.), სანაკოევი (იქიდანვე).

4 რაიონი: მურავიოვი (ა.-კ. საოლქო კომ.), პიასოცკი (მუშფაკი), ბრეიტმანი, ცინცაძე ვანო, სნეგირიოვი.

მობილიზაციაქმნილ ამხანაგებს ევალებათ, არა უგვიანეს 5 აპრილისა, უეჭველათ კავშირი დაიჭირონ კუთვნილ რაიონის სააგ.-საპროპ. განყოფილებასთან.

თ. კ. მდივანი—**ახრიბეკოვი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, ა/წ. 1 აპრილს, საღამოს 5 საათზე, წითელი თეატრის შენობაში (ყოფილი სახალხო სახლი) შესდგება სადელეგატო კრება არსენალის რაიკომის უჯრედთა ბიუროების მდივნების და წევრების თანადასწრებით.

დღის წესრიგი:

1) **ამხ. კახიანის** მოხსენება—„მენშევიკების ახალი ტაქტიკა და ჩვენი ამოცანები".

2) კანდიდატების პარტიაში მიღება და პარტიის წევრებად გადაყვანა.

3) მიმდინარე საქმეები.

დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ ყველა უჯრედთა მდივნები, ბიუროების წევრები, დელეგატები და ქვემოდ დასახელებული ამხანაგები:

1. აკოპოვა გაიანე, 2. ავდაოვი პეტრე, 3. აბრამიანცი ეგიშ, 4. არუტიუნოვი ვაგან, 5. ბეკოევი ნიკოლოზ, 6. ბოლოტოვი გაბრიელ, 7. ველკოვი ნიკოლოზ, 8. გაგნიძე სერგო, 9. მელაშვილი ლავრენტი, 10. გავრილენკო ივანე, 11. გურაშვილი ალექსანდრე, 12. გაგნიძე ბესარიონ, 13. ჯაკატოვი გიორგი, 14. ჯარეშნელოვი ადამი, 15. კაპანიანცი ანდრია, 16. კირილოვი ივანე, 17. კუდრენკო არსენტი, 18. კუხალეიშვილი ევგენი, 19. კანდარელი ლევონ. 20. კორჟოვი ივანე, 21. კრავჩენკო ევგენი, 22. კვამლიძე ანნა, 23. გარბუკი ნიკოლოზ, 24. თათარინცევი ვალენტინ, 25. ტაჯოიანცი სტეფანე, 26. სტეპანიანცი სოლომონ, 27. ოგანეზოვი იოსებ, 28. ორმოცაძე მოსე, 29. ოგანეზოვი ტიგრან, 30. ფირცხალავა მაქსიმე, 31. პილიევი ალექსანდრე, 32. სერგიენკო დანიელ, 33. სარქისოვი ამენ, 34. ახატუროვი გევორქ, 35. ხუბაშვილი მიხეილ, 36. ხიზანაშვილი პეტრე, 37. ჩანდიშვილი ანტონ, 38. შელი ფრიდრიხ, 39. შხიანცი არტემი.

პარტიის კანდიდატებად მიღებისათვის.

1. აროიანცი ნიკოლოზ, 2. ამაზნელი ვართან, 3. აურასიანცი რომან, 4. აველისიანი არშაკ, 5. ასკაროვი არკადი, 6. ასლანიკაშვილი თედორე 7. ბოზაჯი [illegible], 8. ბეკურაშვილი დავით, 9. ალამალოვი ლევან, 10. ვესტფალი ანდრია, 11. ჯანბურია მიხეილ, 12. [illegible] გაბრიელ, 13. ჯორჯგანაძე გ., 14. ბალარჯიშვილი ალექსი, 15. ჯალალოვი არკადი, 16. კვამლაძე პეტრე, 17. ქობულაძე დავით, 18. კუჩავა მარიამ, 19. ყვავილაშვილი მიხეილ, 20. კალინინი პეტრე, 21. კორეივო ლეონიდე, 22. კოზლოვი ივანე, 23. მიშინი მიხეილ, 24. მალინი ალექსანდრე, 25. მამაჯანოვი სერგო, 26. მეხრიშვილი ივანე, 27. ნარიმანაშვილი ალექსანდრე, 28. ნიკოლაევი ნიკოლოზ, 29. ოქრუაშვილი დავით, 30. პანიევი ალექსი, 31. როგოვსკი ანტონ, 32. რახმანოვი ისაკი, 33. სასანაშვილი სიმონ, 34. სვერანსკი გიორგი, 35. სარქისიანი გაბრიელ, 36. სლანაშვილი ივანე, 37. სტეფანაშვილი პეტრე, 38. სოკრატოვი არშაკ, 39. საიკიანი ონიკ, 40. ტოლსტენკო ბიქტორ, 41. ტონუნიანი სედრაკ, 42. ტოლჩინი მიხეილ, 43. უსტინოვი მიხეილ, 44. ხარიბეკაშვილი ივანე, 45. ციხელაშვილი პავლე, 46. ჭოხონელიძე ანთიმოს, 47. შახბაზოვი ალექსი, 48. პაპაიანი ივანე, 49. ჯულელი ალექსანდრე, 50. კალუმბეკოვა ანნა, 51. კარა-მურზა სერაფიმა, 52. რამენდიკ რახილ.

მდივნის მოადგილე: **მელაძე.**

— ლენინის რაიკომი იუწყება: დღეს, 1 აპრილს, საღამოს 5 საათზე, სანიტგანათლების შენობაში (ჩერქეზიშვილის ქ. № 108) შესდგება ლენინრაიონის პარტდელეგატების კრება.

დასწრება სავალდებულოა ყველა უჯრედების მდივნებისა და პარტდელეგატებისთვის.

დღის წესრიგი: 1) პარტიის კანდიდატების ნამდვილ წევრებათ გადაყვანა. 2) ახალ კანდიდატების დამტკიცება.

მდივანი **ქავთარაძე.**

— ლენინის რაიკომი იუწყება: ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგების მიერ მოცემულია განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. თუ ვისმეს რაიმე ცნობანი მოეპოვება მათ წინააღმდეგ, ვთხოვთ წარმოადგინონ რაიკომში (ჩერქეზიშვილის ქ. № 145).

უსახელო წერილები არ მიიღება.

მთავარი სახელოსნოები: ქამალოვი სერგო, სარქისოვი მარტინ, ხუბულური მართა, დვალაძე ე. გნოლიძე მარია. გამცემლიძე ელენე, გულუაშვილი მარია, მიშინ ალექსი, ვლადიმიროვი ნიკოლოზ, პარფენევი ალ. ლეშჩენკო ნიკ. მუხაძე ალ. გრიბოვსკაია მარია, მელიკოვ ალ. ხუბულური ვართან, ინაური ალ., დომბრავ ალ., ლაფაჩაშვილი ალ. ტერტერაშვილი, გოგინაშვილი ნიკ. დობორჯგინიძე კირილე, ინჩაგოვი ივან, პუშკოვი ივან, გიგაური-ჩარკვიანი ნინა.

დ ე პ ო: მამასახლისოვი არტემ, ლავრენჩუკ მიხ., მაქარაშვილი არტემ, აბთაისაშვილი ივანე, შათველოვი ალ., ჩიხელი ანტონ, თურგაძე პავლე.

მო / ზ: ვაშაკიძე რაფიელ, ბულაკ დიმიტრი, ლოლიტაშვილი იაკობ, ქურაბლიოვა პოლინა.

საქონლის სადგური: ტაბუცაძე არსენ, ჩიგოგიძე კასინ, სარიჩევი ვლ. გოჩუაშვილი იასონ, ჩიგოგიძე ბესარიონ.

მოძრაობის სამსახური: ტერ-პოღოსოვი ანტონ, მიტროფან ალ., ვაჭარიძე ვიქტორ, ფირცხალაიშვილი ნიკოლოზ.

რ. გ. სამმართველო: ბელაჩკინ ნიხ. ხატისკაცი იოსებ, ერემეევა მარია.

შეიარაღებული რაზმი: ხასლავსკი ვლ. ივანიძე ნიკ. სელევერსტოვი ფეოდორ, გაგიევი დავით, პაპასკირი ეფრემ, პარჯვანია ალ., კიზირია ვარლამ, კობახიძე ნიკ. თედეევი გაბრიელ, არხიპოვი პეტრე, რასნაძე პლატონ, ბახტაძე დავით.

შესაკრები სამსახური: კურჩენკო კოსტა.

რ. გ. პროფგანათლება: ჩოხონელიძე ვლადიმერ.

მდივანი **ქავთარაძე.**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე დომნა, დედა გინატრე, სიდედრი ირინე, შვილები ნინო, რიტა, ივანე, თამარ და ელენე; სიძეები მიხეილ ჩხიკვაძე და ბენია ქანთარია; ცოლის ძმები სიმონ და გიორგი დოლიძეები, ცოლის დები ივლიტა ჩხიკვაძისა, ელენე კარეტინასი და სოფიო ქანთარიასი; რძლები მარო და ვერა დოლიძეებისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 31 მარტს, ა/წ. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი ბეჟურის ძე მარგალიტაძე

გამოსვენება მოხდება 2 აპრილს, ქალაქის მეორე საავადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდრეს) ნაშუადღევის სრულ 4 საათზე, დაკრძალვა ვერაზე ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2—1

რუსთაველის თეატრი | **ხვალ, 2 აპრილს**

უკანასკნელად ამ სეზონში

მალშტრემ

ნ. № 1050 2—1

სახელმწიფო ოპერა | **დღეს, 1 აპრილს**

ცნობილი ბანის მოზჟუხინის გასტროლი

ბორის გოდუნოვი

2—2 ნ. № 1044

გაიხსნა

მუშკოოპის უნივერსალური მაღაზია

ტოლსტოის ქუჩის (ყ. კირკის ქუჩა) და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში.

კოლოსალური შერჩევა საქონლის ყველა განყოფილებებში: ფართლეულობის, ფეხსაცმელების, საგალანტერიო, სამეურნეო-ჭურჭლეულობის, კოლონიალურ-საბაკალეინო, საკანდიტრო და გასტრონომიულ განყოფილებებში.

მაღაზიაში მსახურობენ თავისი საქმის საუკეთესო მცოდნეები.

სიიაფე, კარგი ღირსების საქონელი, სისწრაფე, სილამაზე.

წევრებს ეძლევათ პრემია ყოველგვარი სახის შესყიდულ საქონელზე.

ნ. 1047 1—1. **გამგეობა.**

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის სახვითი

სექციასთან დაარსდა კომისია მხატვართა აღსარიცხავათ. კომისიაში შედიან შემდეგი ამხანაგები: ლანსერე, ი. ნიკოლაძე, ი. შარლემანი, მ. თოიძე და ვ. სიდამონ-ერისთავი. კომისია აცხადებს ყველა მხატვართა საყურადღებოთ, რომ აღრიცხვა სწარმოებს სამშაბათობით, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 8 საათ. საღამოს 9 საათამდე. მომავალში ყოველგვარი გაუგებრობისა და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად კომისია სთხოვს ყველა მხატვრებს აუცილებლად გამოცხადდენ აღრიცხვაზე.

ნის. 1049. 1—1 **ხელოვნების კავშირის პრეზიდიუმი.**

თანახმად საქ. ჯანსახკომის დადგენილებისა № 80

ტფილისის და ტფილისის მაზრის ტერიტორიაზე მყოფ საექიმო პერსონალს (ექიმები, კბილის ექიმები, კბილის ტექნიკოსები, ფარმაცევტები (აფთიაქის მოწაფეები), ბებია ქალები, ბებია ექიმის თანაშემწენი, ექიმის თანაშემწენი და მოწყალების დებს)

ევალებათ გამოცხადდნენ ტფილისის ჯან. განყოფილებაში ა. წ. 1-დან 20 აპრილამდე დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 3, ოთახი № 57, ნაშუადღევის 4—7 საათამდე და წარმოადგინონ ყოველივე საჭირო საბუთები, თანახმად ჯანსახკომის დადგენილებისა № 80.

1045 3—2. **ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება.**

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს

ტყავეულობის ტრესტის

„ტყავტრესტი"-ს რეგისტრაციის შესახებ.

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავეულობის ტრესტის „ტყავტრესტ"-ის წესდება დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიური საბჭოს მიერ 1924 წლის ნოემბრის 10-ს.

ტყავეულობის ტრესტის „ტყავტრესტი"-ს მმართველად დანიშნულია ამხ. **ავატკოვი** სტეფანე ნიკოლოზის ძე.

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის საქმეთა მმართველი **ცირანოვი.** 1—1 ნ. 1048

სავალდებულო დადგენილება № 16

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის

30 მარტი, 1925 წ.

ქალ. თბილისში და თბილისის მაზრაში ყველა კერძო პრაქტიკის მქონე ექიმების და კერძო საექიმო დაწესებულებების მიერ ავადმყოფთა რეგისტრაციის შესახებ.

თანახმად საქართველოს ჯანსახკომის განკარგულებისა, ქალაქ თბილისის და თბილისის მაზრის მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ყველა კერძო პრაქტიკის მქონე ექიმებს და კერძო საექიმო დაწესებულებებს ქ. თბილისში და მის მაზრაში ევალებათ აწარმოონ ავადმყოფთა რეგისტრაცია იმ წესით, რომლითაც შემოღებული ჯანმრთელობის განყოფილების დაწესებულებებში და უბნის ექიმებთან, როგორიცაა მაგალითად: ა) ყოველდღიურად ავადმყოფთა სარეგისტრაციო ბარათების შედგენა და წარმოდგენა ასეთების ალმასკომის სტატისტიკურ განყოფილებაში არა უგვიანეს ყოველი შემდეგი თვის 5 რიცხვისა, ბ) შედგენა ყოველკვირეულ ცნობების მწვავე გადამდებ სნეულებათა მოძრაობის შესახებ და გადმოგზავნა სტატისტიკურ განყოფილებაში ასეთების ყოველ გასულ კვირის მეორე კვირის სამშაბათს.

2. პირველ პუნქტში აღნიშნულ ექიმებს და დაწესებულებებს ევალებათ გამოცხადდენ ალმასკომის სტატისტიკურ განყოფილებაში (ოთახი № 31) სარეგისტრაციო ბარათების და სათანადო ინსტრუქციის მისაღებათ ა.-წ. 1-ლ აპრილიდან—ერთი კვირის ვადაში.

3. სავალდებულო დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

4. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორ თვემდე ან დაჯარიმებით 100 მანეთამდე.

ალმასკომის თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

ჯანმრთელობის განყოფილების გამგე **ი. მამულია.**

მდივანი **ცქიტიშვილი.**

1046. 2—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ შედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—13

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და ღვიძლის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—2

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეციალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—21

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და **საღამოს 5-დან 8 საათამდე.**

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—20.

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.

25—5 საღამოს—5—6 საათ.

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. დ. 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სისივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—22

ექიმი

მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—11

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—12

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 3203. 25—21

დაკარგე პირადობის მოწმობა სარა ახალკაციშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 808 1—1

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 1144 ნიკოლოზ წამალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 798 1—1

დაკარგე პარტიული მოწმობა, მოცემული გურიის პარტრაიკომიდან № 494544 სალომე თოდრიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 802 1—1

დაკარგე 2 შრომის სკოლის მოწმობა მოწაფე 6 ჯგუფისა ლეონიდე ფხალაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 803 1—1

დაკარგე საშუალო სასწავლებლის მოწმობა გაცემული ფოთის ჰუმანიტარული ტექნიკუმის მიერ. ბაბილინა დიმიტრის ასული ესკიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 799 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მელიტონ შალამბერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 807 1—1

დაკარგე თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტმა სალექციო წიგნაკი № 1067 გაცემული ბიქტორ ქორქაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 800 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ახალსენაკის რაიალმასკომისაგან, ფუფუ დათას ძე პარკაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 805 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 215 მოცემული რგანის მის ალმასკომის თავმჯდომარისაგან ნიკოლოზ ანტონის ძე ხვედელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 806 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, მოცემული მეორე ს მილიციო უბნის სამხედრო ნაწილიდან № 2110 იოსებ რომანის ძე რაზმაძეს სახელზე და მასთან ერთად პირადობის მოწმობა მოცემული პატარა ონის რაიონის ალმასკომიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 804 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 1199 ქ. ხელფიჩნის ალმასკომიდან მოცემული ვასილ სიმონის ძე ლელაძის სახელზე. 801 1—1